# საკვირო გაზეთი

№20 (753)
ოთხშაბათი
5 ივნისი,
2024 წ.
ფასი 1.50 ლ.


## შუათითაშვერილმა მომიტინგემ „საქართველოს“ დაძახება ვერ უნდა გაბედოს!!!

**გია აბაშიძე:**
### ტოქსიკური გარემო – თავაშვებული დემოკრატიის სახელით

**თამარ ჩიბურდანიძე:**
### ფაშიზმი მსოფლიოში ლიბერალიზმის სახით დაბრუნდა

**გოგი გოგოლაშვილი:**
### შეუძლებელია, მიტინგზე დგომით პროფესორმა სტუდენტს საგანი ასწავლოს

## ჩინეთი ერთადერთი ზესახელმწიფოა, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტორი და მხარდამჭერი იქნება

### გამარჯვების შემთხვევაში ტრამპი ჯონ კენედის მკვლელობის მასალებს გაასაჯაროებს

### წინ ცხელი პოლიტიკური ოქტომბერი გველის

### ფეხბურთი და ტანკები – „გოლი საკუთარ კარში“

### რა უნდა ვიცოდეთ სტრასბურგის სასამართლოს პროცედურების შესახებ

## ქართველის მოთხოვნა: ახალი საქართველოს აღმშენებლობისას ნულარ ჩაატანთ მის კედელში „ნაციონალურ კვერცხს“ ასაყროლებლად!

# ირაკლი კობახიძე: საზოგადოებისთვის ამ ფინანსების გამჭვირვალობას წინ ვერაფერი დაუდგება

„ამ კანონის ძალაში შესვლა არ არის ხელისუფლების გამარჯვება, ეს არ არის არც კანონის ოპონენტების მარცხი და, მით უმეტეს, ეს არ არის არც საერთაშორისო კონკრეტული პარტნიორების დამარცხება. ერთადერთი, ვინც გაიმარჯვა, ეს არის ქართული სახელმწიფო, მისი სუვერენიტეტი, მისი დამოუკიდებლობა და ერთადერთი, ვინც დამარცხდა ამ კანონის ძალაში შესვლით, არიან ჩვენი ქვეყნის არაკეთილმოსურნეები. ეს არის საერთო სურათი. აქედან გამომდინარე, როდესაც განმტკიცდება ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა, ამით დამარცხდება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ქვეყნის არაკეთილმოსურნე. ეს არის, მკაფიოდ რაც შეიძლება ითქვას. ვის უნდა სიკეთე ჩვენი ქვეყნისთვის და ვის არა, ამაზე დასკვნებს გამოიტანს ქართული საზოგადოება. რაც შეეხება გამჭვირვალობის შესახებ კანონის ამოქმედებას, ამას წინ ვერავინ დაუდგება, აქედან გამომდინარე, სახელმწიფო იმოქმედებს სწორედ საკუთარი ეროვნული ინტერესების შესაბამისად.

კანონი შეიცავს ბერკეტებს, რომლითაც სახელმწიფოს შეუძლია დაძლიოს ნებისმიერი არაკეთილსინდისიერი ორგანიზაციის დაუმორჩილებლობა. კანონი თვითონ შეიცავს ამის ბერკეტებს. მონიტორინგი ჩატარდება და ყველას დეკლარაცია გამოქვეყნდება. ვერავინ ვერ უზრუნველყოფს იმას, რომ ქართველმა მოქალაქემ ვერ მიიღოს ინფორმაცია ორგანიზაციების დაფინანსების შესახებ. საზოგადოებისთვის ამ ფინანსების გამჭვირვალობას წინ ვერაფერი დაუდგება, თვითონ კანონი შეიცავს შესაბამის ბერკეტებს“, - განაცხადა პრემიერმა.

პრემიერმა კანონის საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებაზეც გააკეთა კომენტარი.

„ასეთ სარჩელს პერსპექტივა ვერ ექნება, შეუძლებელია, სამართლებრივად დაამტკიცო ის, რომ გამჭვირვალობა არის ცუდი“, - ამის შესახებ პრემიერმა ჟურნალისტის კითხვის პასუხად განაცხადა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებას შეეხებოდა.

მთავრობის მეთაურის თქმით, სახელმწიფოს ინტერესები ბოლომდე იქნება დაცული.

# ირაკლი კობახიძე: სალომე ზურაბიშვილმა ნათელაშვილის ფანჩატურის რეინკარნაცია შემოგვთავაზა

ზოგადად, როცა რაიმე პროექტი ჩავარდება, იმის თავიდან დაწყება არ არის ხოლმე მომგებიანი. გახსოვთ, ეს პროექტი არსებობდა ადრეც, ამას უწოდებდნენ ნათელაშვილს ფანჩატურს და ამის რეინკარნაცია შემოგვთავაზა სალომე ზურაბიშვილმა. რა თქმა უნდა, უკვე ჩავარდნილი პროექტის გაცოცხლება არის განწირული წარუმატებლობისთვის - ზუსტად იგივე სახეები, იგივე ადამიანები, აბსოლუტურად არაევროპული სახეები, ამას ვიტყვი, პირველ რიგში, წარმატების პერსპექტივა ამ პროექტს არ აქვს, უკვე ჩავარდნილი პროექტია. მათ აერთიანებთ ერთადერთი რამ, თავის დროზე საუბარი იყო აქტიურად უცხოელ აგენტებზე, რეესტრის შექმნაზე და ა. შ. რეალურად, სალომე ზურაბიშვილმა შექმნა უცხოელი აგენტების პარტიული რეესტრი. სხვა არაფერი შეიძლება, ეწოდოს იმ სიას, რომელიც შედგა სალომე ზურაბიშვილის რეზიდენციაში. არავითარი პერსპექტივა ამას არ აქვს, ეს არის კოლექტიური „ნაცმოძრაობა“, რომელიც კიდევ ერთხელ მოთავსდა ერთ ქვაბში, სადაც ისედაც იყო მოთავსებული.

•

პრემიერიმა ანაკლიის პროექტთან დაკავშირებით სალომე ზურაბიშვილის მიერ გაკეთებული განცხადების გამოც ისაუბრა.

„ყველას ძალიან კარგად მოეხსენება, რამდენად მნიშვნელოვანია ჩინეთთან პარტნიორობის გაღრმავება, ჩვენ შარშან ხელი მოვაწერეთ ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმებას, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამ თანამშრომლობის როგორც პოლიტიკური ასპექტი, ისე ეკონომიკური. ჩვენ გვაქვს სტრატეგიული მდებარეობა. ჩვენი ქვეყანა ისტორიულად აკავშირებდა ერთმანეთს ევროპასა და აზიას, დასავლეთსა და აღმოსავლეთს. მაქსიმალურად რომ აღვადგინოთ ჩვენი სტრატეგიული დაკავშირების ფუნქცია, პრინციპულად მნიშვნელოვანია, განვითარდეს ჩვენი სავაჭრო-კონომიკური ურთიერთობები ჩინეთთან და, ბუნებრივია, ანაკლიის პროექტის განხორციელება ჩინელ პარტნიორებთან ერთად, ამ ამოცანის შესრულებას თვისოებრივად გაგვიიოლებს. ასეთ დროს, როცა სალომე ზურაბიშვილისგან კეთდება განცხადებები ამ პროექტში ჩინეთის ჩართულობის წინააღმდეგ, ეს არის, უბრალოდ, არასერიოზული, ძალიან მძიმე პროვოკაცია და სპეკულაცია“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

# ეს ალბომი კონფესიათა შორის თანამშრომლობის არაჩვეულებრივი გამოვლინება და მაგალითია

მთავრობის მეთაურის თქმით, ფოტოალბომი თავს უყრის სრულ და ამომწურავ ინფორმაციას ქვეყანაში მოქმედი ყველა რელიგიური გაერთიანების როგორც ისტორიული, ასევე თანამედროვე საკულტო ნაგებობის შესახებ.

პრემიერმა მადლობა გადაუხადა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, მეცნიერებს, ფოტოხელოვანებს და ყველას, ვისაც აღნიშნული ფოტოალბომის შექმნასა და გამოცემაში წვლილი მიუძღვის.

ალბომი, ასევე, გვაწვდის ინფორმაციას მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემების შესაბამისად, საქართველოს რელიგიური განფენილობის შესახებ.

ამ უმნიშვნელოვანეს პროექტს მაღალი ღირებულება აქვს და, ამავე დროს, ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ტრადიციის - რელიგიური შემწყნარებლობის, ერთობლივი თანაცხოვრების კულტურის თვალსაჩინო გამოხატულებაა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ალბომი სხვადასხვა რელიგიური კონფესიის სასულიერო პირების ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნა, რაც კონფესიათა შორის თანამშრომლობის არაჩვეულებრივი გამოვლინება და მაგალითია.

# ირაკლი კობახიძე ანტიქართული ნაბიჯებისა და ანტიქართული განცხადებების შესახებ

„როდესაც კონკრეტული სუბიექტები აკეთებენ ანტიქართულ განცხადებებს და დგამენ ანტიქართულ ნაბიჯებს, იგივე, მტკიცებულებების გარეშე ქართველი მოსამართლეების სანქცირებაც იყო ანტიქართული ნაბიჯი. როდესაც ანტიქართული ნაბიჯები იდგმება, როდესაც ანტიქართული განცხადებები კეთდება, ჩვენი ვალდებულებაა, ქართული სახელმწიფოს და საზოგადოების წინაშე, რომ ამაზე გვქონდეს სათანადო, ადეკვატური რეაგირება და ეს ყველაფერი ვერ შეფასდება ვერც ანტიევროპულ და ვერც ანტიამერიკულ ნაბიჯად. როცა იქიდან იდგმება ანტიქართული ნაბიჯები და კეთდება ანტიქართული განცხადებები, მათზე რეაგირება, უბრალოდ, ჩვენი ვალდებულებაა და მეტი არაფერი“, - განაცხადა პრემიერმა.

# როდესაც ელჩი არასწორად, არასერიოზულად იქცევა, მისი გაკრიტიკება ჩვენი ვალდებულებაა

„ძალიან სამწუხაროა, როდესაც გერმანიის ელჩი, გერმანიის ელჩად წოდებული ადამიანი არ იშლის სპეკულაციებს. ყველას გახსოვთ, რომ ის თავის დროზე ჩართული იყო „ლელოს“ საარჩევნო აქტივობაში, ბოლნისში იყვნენ წასულები, სადაც ერთობლივად მონაწილეობდნენ კონკრეტულ პოლიტიკურ საარჩევნო ღონისძიებაში.

გერმანიის ელჩი, რომელიც ამ საპატიო წოდებას ატარებს, არის დასული გრიგოლ გეგელიას დონემდე. ძალიან სამწუხაროა, რომ ის სპეკულირებს. ვნახეთ, რომ კონკრეტულმა ტელევიზიებმა გერმანიის ელჩის ეს განცხადება გამოიყენეს დეზინფორმაციის გავრცელებისთვის, წარმოაჩინეს ისე, თითქოს გერმანიის კანცლერი საუბრობდა საქართველოში არსებულ ვითარებაზე, როცა ის საუბრობდა, თუ არ ვცდები, 5 წლის წინანდელ მკვლელობაზე, რომელიც გერმანიაში იქნა ჩადენილი. ძალიან სამწუხაროა, როდესაც ჯერ გერმანიის ელჩი შეგნებულად აძლევს წყაროს დეზინფორმაციის გავრცელებისთვის კონკრეტულ მედიასაშუალებებს და შემდეგ ის, რომ მედიასაშუალებები ამას იტაცებენ. ეს სამწუხარო მოვლენაა, თუმცა ეს არ არის ჩვენი პრობლემა, ეს გერმანული სახელმწიფოს პრობლემაა, როდესაც მისი ელჩი, ოფიციალური წარმომადგენელი ასეთი არასერიოზული ქმედებებით გამოირჩევა.

პირველ რიგში, გერმანია არის ჩვენი მეგობარი და პარტნიორი სახელმწიფო და ვერც ერთი ელჩი ვერ მოახერხებს ამ ტრადიციულ მეგობრობასა და პარტნიორობაში რაიმე ხინჯის შეტანას, რასაც ცდილობს მოქმედი ელჩი. ამას, საბოლოო ჯამში, ის ვერ მოახერხებს. ჩვენ ვართ განსაკუთრებულად მადლიერნი გერმანიის სახელმწიფოსი, როდესაც საქართველომ აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, გერმანულმა მხარდაჭერამ განსაკუთრებული როლი შეასრულა ჩვენი სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში და მხოლოდ და მხოლოდ მადლობა შეიძლება გადავუხადოთ გერმანულ სახელმწიფოს ამისთვის. გერმანია არის ჩვენი მეგობარი ქვეყანა, მეგობარი სახელმწიფო და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ამ მეგობრობასა და პარტნიორობას ვერავინ მიაყენებს ჩრდილს, მათ შორის, ვერცერთი ელჩი.

ხედავთ, რომ ძალიან ხშირად თავს ესხმიან ხოლმე საქართველოს ხელისუფლებას, მაგრამ ამას არ წარმოაჩენენ ხოლმე როგორც საქართველოზე თავდასხმას. როდესაც ელჩი არასწორად, არასერიოზულად იქცევა, მისი გაკრიტიკება არის ჩვენი ვალდებულება, მათ შორის, გერმანული სახელმწიფოს წინაშე, ვინაიდან არასერიოზული ქმედებებით, პირველ რიგში, ის გერმანულ სახელმწიფოს უქმნის პრობლემას, ქართულ სახელმწიფოსთან ერთად. აქედან გამომდინარე, მინიშნება იმაზე, რომ ელჩი არ იქცევა სწორად, არის პრინციპულად მნიშვნელოვანი გერმანიისთვის, საქართველოსთვის და ჩვენი ორმხრივი მეგობრობისა და პარტნიორობისთვის,“- აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

# ქართველის მოთხოვნა: ახალი საქართველოს აღმშენებლობისას ნუღარ ჩაატანთ მის კედელში „ნაციონალურ კვერცხს“ ასაყროლებლად!

2012 წელს, „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობით რომ შევიდა პარლამენტში, გვეგონა, რომ, ბოლოსდაბოლოს, შესაძლებელი გახდებოდა ყველა იმ სიმახინჯის გამოსწორება, რომელიც წინა ხელისუფლებამ დაამკვიდრა.

ვერცერთი მოწვევის პარლამენტის მუშაობამ ვერ დააკმაყოფილა ხალხის უმთავრესი მოთხოვნა — სამართლიანობის აღდგენა-დამკვიდრება. თავდაპირველად, თითქოს სინათლის სხივმა შემოანათა ჩასუდარებულ საქართველოში და უკეთესობის მოლოდინი გაჩნდა, მაგრამ ნელ-ნელა იმედი მინავლდა, თავსმოხვეულმა კოჰაბიტაციამ იმედები გაუცრუა სამართლიანობის აღდგენის მომლოდინე საზოგადოებას.

მთელი ის ბრძოლა, რაც 2012 წლის ოქტომბრის მონაპოვარისთვის მიმდინარეობდა, მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა, როგორმე მოეშორებინა საქართველოს მოსახლეობას საშინელი სახადი „ნაცმოძრაობის“ სახით. შედეგად რა მივიღეთ?

საითაც გაიხედავს ადამიანი, ყველგან კვლავ „ნაცკიჟინაა“. დაწყებული საჯარო სამსახურის რიგითი მოხელიდან, დასრულებული მასმედიის უმრავლესი საშუალებით, სადაც კვლავ და კვლავ ის „მამალი ნაციონალები“ ჩანან და მეტყველებენ აგრესიული ტონით, რომლებმაც საქართველო მატერიალურად, ტერიტორიულად, ფიზიკურად და, რაც უმთავრესია, სულიერად გადაძოვეს.

„ქართულმა ოცნებამ“ უნდა იცოდეს სიმართლე: 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, ყველა არჩევნებში, ადგილობრივი თვითმმართველობისა თუ საპარლამენტო არჩევნებში, ხალხმა ხმა მისცა არა „ქართულ ოცნებას“, არამედ, ხმა არ მისცა „ნაციონალურ მოძრაობას“!

ისევ არჩევნები გვიახლოვდება და ამჯერად, „უცხოური გამჭვირვალობის კანონის“ მიღების შემდეგ, ხალხს ისევ გაუჩნდა იმედი, ამჯერად ჭვნეული, რომ ყველას „დამსახურებისამებრ“ მიეზღვება. იმედი კარგია, მაგრამ კიდევ ერთხელ იმედის გაცრუება საშინელებაა...

მრავალთაგან მოგვისმენია, მათ შორის, მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებისგანაც, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, როგორც პარტიის, მოკლე დახასიათება: „ტერორისტული ორგანიზაცია“, „კრიმინალური სექტა“, „ნაცბანდა“, „მკვლელების გაერთიანება“ და ა. შ.

ხალხი გეკითხებათ: — თუ ეს მართლაც ასეა (ამაში არც არავის ეპარება ეჭვი!), მაშინ რატომ უქმნიან სასათბურე პირობებს დღემდე, რატომ აქვთ ტრიბუნა ყველგან, რატომ იწვევენ ტელევიზიები სტუმრად, ან რატომ სთხოვენ კომენტარებს, იღებენ მათგან ინტერვიუებს, ეკითხებიან ჭკუას? ვინ შემოგვატყუა ხელოვნურად შექმნილი ფრაზა-მდგომარეობა „დაბალანსებული მედია“? სად ვხედავთ დაბალანსებულ მედიას? რომელ ტელევიზიას რა ერქმევა და რომელ გადაცემას ვინ წაიყვანს, რა მნიშვნელობა აქვს, როცა უმეტესი ტელევიზიების კრებსითი სახელი „ნაცმოძრაობაა“?

ტელესივრცე, ფაქტობრივად, კატეგორიულად ჩაკეტილია იმ მოაზროვნე ადამიანებისთვის, რომელთაც შეუძლიათ მაყურებელს აბსოლუტური სიმართლე შეულამაზებლად უთხრან ნებისმიერ თემაზე, უკვე მომხდარზე, მიმდინარეზე თუ ლოგიკაზე დაფუძნებულ უახლოეს მომავალზე;

ტელესივრცე ჩაკეტილია იმ ადამიანებისთვის, რომელთაც განვლილ წლებში „ნაცბანდის“ მიერ ჩადენილ დანაშულებზე მოქალაქის რანგში ბრალმდებლობაც კი შეუძლიათ საკუთარ სისხლის სამართლის საქმეებზე;

ჩაკეტილია ყველასთვის, ვისაც მოუსყიდველი ქართული სული აქვს და მხოლოდ ქართული საქმის კეთება სურს...

ის, რასაც ჩვენ მედიით ვხედავთ და ვისმენთ და მავანი „დაბალანსებად“ ნათლავს, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ რომ ანტიქართულია, ანტიადამიანურია, მკრეხელურია, სამარცხვინოა, „ნაცბანდა“ კი ძველებურად ლაღობს...

საუბარი აღარ არის უცხო ქვეყნებიდან ანტიქართული საქმის კეთების გამო უხვად დაფინანსებულ არამკითხე-მოამბე არასამთავრობო ორგანიზაციებზე. ამ უცხო ქვეყნის აგენტებს, ე. წ. მარტის აქციები ისე გაატანინეს, პოლიციელები ცოცხლად დასაწვავად გაამეტებინეს და ლამის მთელი რუსთაველის პროსპექტი დაანგრევინეს ისე, რომ ბუზიც ვერ აუფრინეს... გრანტიყლაპია მოღალატე ენჯოებს, რომლებიც უცხო ქვეყნებიდან ფინანსდებიან და პარტიებსაც აფუძნებენ საჯაშუშო ფულით, ისევ სასათბურე დათქმა აქვთ — წელიწადში ერთხელ წარმოადგინონ დონორი ორგანიზაცია და შესრულებული სამუშაო, მაგრამ ისე არიან გათავხედებულები, ამასაც უკადრისობენ — დიახ, თქვენი საქმე არ არის, რას მოვახმარ საჯაჯუშო ფულსო... უცხოეთიდან საჯაშუშოდ და სამავნებლოდ აღებულს ვინ მოახმარს საქართველოს ინტერესებს ნებისმიერი განხრითა და მიმართულებით...

მარტივია, ადამიანი, რომელიც ხედავდა და აღიქვამდა, რასაც სჩადიოდა „ნაცმოძრაობა“ წლების განმავლობაში, მაგრამ პირადი გამორჩენის გამო მაინც მათ ეტმასნებოდა, ვერ იქნება ახალი საქართველოს აღმშენებელი, რადგან მენტალურად მოღალატე მედროვეა.

რატომ უნდა იტმასნიდეს ახლა იგივე პარაზიტი ტიპის გუნდს ახალი ორგანიზმი — აღმშენებლობის მოსურნე საქართველოს ხელისუფლება?!

სამართლიანობის ამაოდ მომლოდინე იმედგადაწურული ადამიანები ამბობენ: დამთავრდა კოჰაბიტაცია და ესენი მაინც არ ამთავრებენო? ჰოდა, სხვა გზა არ არის, დაუმსახურებლად ჩაგვსვა ციხეებში მიშამ? — ახლა დამსახურებულად ჩავსხდებით, რადგან ამ სატანის მოციქულებს ბაღლინჯოებივით სათითაოდ გავსრესთ, სადაც დავინახავთო...

მნიშვნელოვანი ის არის, რომ ყველა ის „იმპორტული“ უბედურება, რაც სააკაშვილის ხელისუფლებამ მოიტანა და დაამკვიდრა, დღემდე გრძელდება და აუცილებლად გაგრძელდება მომავალშიც, ვიდრე ჩვენი დევიზი არ გახდება „სწორება საქართველოზე! საქართველო უპირველეს ყოვლისა!“

ამ ნაცუბედურებას, რომელსაც ე. წ. დასავლეთის შიშით დროულად არ „უწამლეს“ და აქამდე ის სახელი ვერ დაარქვეს, რასაც წარმოადგენს, იგივე დამახასიათებელი თვისება აქვს, რაც ე. წ. დასავლეთის ლაბორატორიებში სპეციალურად გამოყვანილ ბოროტ შტამებს, ანტიბიოტიკზე რომ მეტად ღიზიანდება, უფრო გაავებული რომ ისხამს ახალ ხორცს.

ეს რომ ქართული კი არა, არამედ საერთაშორისო ხასიათის მოვლენაა, ამის დასტური სახეზეა, სისხლში ამოთხვრილ და ცეცხლში გახვეულ უკრაინაში ერთიმეორის მიყოლებით მიუხმეს სახელმწიფო პოსტებზე საქართველოდან სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის აღმასრულებლებლებს.

ნუთუ აღარავის ახსოვს, რა თქვა არასამთავრობო ორგანიზაცია „პოზიციის“ აღმასრულებელმა დირექტორმა გურამ ადამაშვილმა ჯერ კიდევ „ვივამედში“ მოკლათებული სისხლის სამართლის დამნაშვის კონტეინერით შემოპარვამდე? რომ სააკაშვილის მიერ კიევის მახლობლად გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც უნგრეთიდან ჩასული ადეიშვილი, ხოლო საქართველოდან გიორგი ბარამიძე ესწრებოდა, ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციის გეგმა შეიმუშავეს, რადგან სხვაგვარად საქართველოში ვერ დაბრუნდებიან და ამისათვის აუცილებლად გამოიყენებენ უკრაინულ შეიარაღებულ დაჯგუფებასო.

მუქარები კი მრავლად მოვისმინეთ უკრაინაში გადაბარგებულებისგან, მთელ ერს რომ გვიპირებენ სისხლში ამოთხვრას თურმე...

ფაქტის წინაშე დგება ქვეყანა, რომ მკვლელებს დიდი მონდომებით მფარველობენ ვიღაცები. თუმცა, რა გასაკვირია, ყველგან ხომ ისევ „ნაცები“ სხედან, იმავე ძალოვან სტრუქტურებში, რაც შენელებული მოქმედების ნაღმია...

იქნებ დროა, რომ ციხეები ამჯერად უკვე სამართლიანად გადაივსოს „პაგონიანი“ თუ „უპაგონო“ ნაცპატიმრებით?

სწორედ ამიტომ აბამენ ქოთანს ყურს, საიდანაც უნდათ, ნაცზონდერები, ნაცპროკურორები, ნაცლიდერები, ზოგადად, ნაცბანდის წევრები და მათთან საეჭვო კოჰაბიტაციაში ეჭვმიტანილი ცალკეული პარტიების ცალკეული წარმომადგენლები; სწორედ ამიტომ აწყობენ ჟამიდან ჟამამდე დაუსრულებელ აქციებს... ამიტომ არის გამალებული ნაცტერორისტული სამზადისი. ეჭვი არავის შეეპაროს, რომ განსაზღვრულ დროს ქვეყნის ამოტრიალებაში აქტიურად ჩაერთვებიან მათი ის უკრაინელი „მეგობრებიც“, რომლებიც დღეს ე. წ. სხვაგვარად მოაზროვნე თანამოქალაქეებს დიდი ენთუზიაზმით დახოცავენ...

აღურიცხავი შეიარაღებული ბანდები ისედაც ჰყავდათ სააკაშვილის რეჟიმის კონკრეტულ პირებს, მერე კი ხმად გამოვიდა, რომ სააკაშვილის მიერ ჩამოყალიბებული გასამხედროებული ფორმირებები არსებული ხელისუფლების დამხობას შეიარაღებული გზით აპირებენო და წამოცდომის გარეშე, ამჟამად ვითომ პატიმარი ექსპრეზიდენტი ტელეეკრანიდან პირდაპირ აცხადებდა, არჩევნებით ამათ ვერ მოვუგებთო.

იქით „ნაცრეჟისორი“, ნაგენპროკურორალი, არაერთი ოჯახის მასხრად ამგდები, დღეისათვის „ნიჭიერების“ განმსაზღვრელი მეტრი, ნიკა გვარამია იყო აღშფოთებული, აქეთ — აფრასიძეების ოჯახის ამომჟუჟავი გიორგი ბარამიძე და სრულიად ნაცბანდა, სასწრაფოდ გამოიძიეთ ყველა დანაშაულიო — დაცინვის აპოთეოზი იყო სახეზე! ეს ის შემთხვევა გახლდათ, როდესაც ხალხის მოთხოვნა ერთიერთზე ემთხვეოდა მისთვის საძულველი, დამნაშავე, მაგრამ დაუსჯელად მოპარპაშე რეჟიმის ლიდერების მოთხოვნას.

დიახ, გამოძიებული უნდა იყოს ყველა დანაშაული, რომელიც ხდებოდა, ხდება და თან ტყუპისცალივით ჰგავს ერთი მეორეს, მესამე — მეოთხეს, ზოგადად კი, ერთი მთლიანის გაგრძელებაა.

გაღმა-გამოღმიდან თითს უქნევდნენ „ქართულ ოცნებას“, არ მიიღოთ ე. წ. გამჭვირვალობის კანონიო“, მაგრამ ხელისუფლებამ შეძლო, თავისი სამართლიანი სიტყვა გაეტანა.

ასეც უნდა ყოფილიყო! ხალხის ხელისუფლებამ ხალხის გულისთქმა უნდა მოისმინოს და მისი ამომრჩევლების დაკვეთები შეასრულოს. უპირველესად, სისხლიანი რეჟიმის ყველა თვალსაჩინო ფიგურა, როგორც რეჟიმის შემოქმედი, მსგავსად ფაშისტური რეჟიმისა,

5 გვ. →

# ტოქსიკური გარემო – თავაშვებული დემოკრატიის სახელით

*მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე საუბრობს პოლიტოლოგი გია აბაშიძე.*

**– ბატონო გია, „გამჭვირვალობის კანონზე“ ვეტოს დაძლევის შემდეგ, ხელისუფლების წარმომადგენლების, მათი ოჯახის წევრებისა და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების მიმართ პერსონალური თავდასხმები გაძლიერდა. მსგავსი პრეტენზიები აქვს დაპირისპირებულ მხარესაც, რომ მათ ურეკავენ, აშანტაჟებენ და ა. შ... ეს ყველაფერი, დამეთანხმებით, კიდევ უფრო აღრმავებს პოლარიზაციას...**

– ის ძალადობა, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ახორციელებდა, დღემდე გრძელდება. ეს ახლა, ძირითადად, გამოიხატება მორალურ-ფსიქოლოგიური ტერორით „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებზე, ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მათ ოჯახებზე. ყურადღებით ვაკვირდები

მმართველი პარტიის წარმომადგენლების განცხადებებს და ვისმენ მათი მხრიდან, ფაქტობრივად, იმის აღიარებას, რომ არ არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც გარკვეული ძალების ექსტრემისტულ გამოხდომებს დაარეგულირებს. ექსტრემიზმი ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში დასჯადია. თუმცა, ჩვენთან ეს მრავალი წლის განმავლობაში შეფუთულია, როგორც გამოხატვის თავისუფლება და დემოკრატია. დემოკრატია არ ნიშნავს თავაშვებულობას, დემოკრატიას აქვს გარკვეული დემოკრატიული რეგულაციები.

დამაინტერესა და ჩავიხედე კანონმდებლობაში, თუ რა ელის იმ პირებს აშშ-ში, რომლებიც გამოხატავენ საჯარო მუქარას ხელისუფლების წარმომადგენლების ან მათი ოჯახის წევრების მიმართ. - თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ყოფილა ფედერალური დანაშაული, რომელსაც იძიებს გამოძიების ფედერალური ბიურო! სასჯელის ვადაა 5-დან 10 წლამდე. შესაბამისად, ამერიკაში სადაც პოლარიზაციის გასაოცარი მასშტაბებია, ნებისმიერი მუქარა, არ აქვს მნიშვნელობა, კონგრესმენის მისამართით იქნება ეს, რომელიმე ქალაქის მერის, თუ მისი ოჯახის მისამართით, ითვლება მძიმე დანაშაულად და ამ დანაშაულს არა ადგილობრივი პოლიცია, არამედ, ფედერალური საგამოძიებო სამსახური იძიებს!

ვფიქრობ, რომ დემოკრატიული ქვეყნების მაგალითზე, ქართულმა ხელისუფლებამ მსგავსი რეგულაციები უნდა შეიმუშაოს. ზუსტად წარმომიდგენია, რა ვაივიში ატყდება ამაზე, - როგორც ე. წ. რუსულ კანონზე, მაგრამ სხვაგვარად აღარ შეიძლება.

რამდენიმე დღის წინ საზოგადოებამ კადრებით ნახა, როგორ დაესხა თავს პოს-ტვ-ის ჟურნალისტ ნათია ბერიძეს და ტელეოპერატორს, მეგის ქარდავას ზონდერი ვიტალი გუგუჩია, რა სიტყვებით აგინა სახლის ჭიშკართან მისულ გადამღებ ჯგუფს და როგორ გადავიდა შემდეგ ფიზიკურ შეურაცხყოფაზე, საკუთარი მცირეწლოვანი ბავშვების თანდასწრებით... კარგია, რომ შესაბამისი საგამოძიებო მოქმედება უკვე დაიწყო, რადგან ნებისმიერი აგრესორი, სოციალური თუ პოლიტიკური სტატუსის მიუხედავად, უნდა დაისაჯოს და უნდა აილაგმოს ის გაუგონარი ტოქსიკური გარემო, რასაც ჩვენ ვხედავთ თავაშვებული დემოკრატიის სახელით.

**– აშშ-ის მაგალითი მოიყვანეთ და კი ვნახეთ, როგორ მოექცა ამერიკა ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტს; ვიცით, რომ აშშ-სთან ერთად, 15 ევროპულ ქვეყანას აქვს გამჭვირვალობის რეესტრი ბევრად მკაცრი რეგულაციებით და სულ მიკვირს, რაც მათთვის დასაშვები და მისაღებია, ჩვენი ქვეყნისთვის რატომ არის მიუღებელი?**

– ეს არის კლასიკური ნეოკოლონიალისტური დამოკიდებულება, რომლის მთავარი დევიზია: ნუ იმოქმედებ ისე, როგორც ჩვენ ვმოქმედებთ, - იმოქმედე ისე, როგორც ჩვენ გეტყვით! ეს არის დამახინჯებული გზავნილი მეტროპოლიიდან პოლიტიკურ პროვინციაში, იგივე, ვასალ ქვეყანაში! როგორ შეიძლება, სუვერენულ ქვეყანას უკარნახო, თუ რა კანონი უნდა მიიღოს, რა არ უნდა მიიღოს და, ამის გამო ხელისუფლებას სანქციებით დაემუქრო. ეს ხომ გაუგონარი ამბავია! თუმცა, გასაკვირი ნამდვილად არ არის იმ რეალობიდან გამომდინარე, რაც ახლა ამერიკაში ხდება, რასაც ჰქვია შეთითხნილი ბრალდებებით და შეთითხნილი საბრალდებო დასკვნებით, რეიტინგული კანდიდატის პოლიტიკური დევნა. ეს აშკარაა, ამას მხოლოდ ტრამპის გარემოცვიდან არ ამბობენ, ამას ხედავენ „რესპუბლიკელები“, იურისტები, ექსპერტები და ასე შემდეგ. ამიტომაც, ის ნარატივები, რაც გვესმის დასავლეთიდან შეშფოთებულ ტონალობაში, რომ თურმე საქართველოში ოპონენტების პოლიტიკური დევნა მიმდინარეობს, ჩალაზე მეტად გაუფასურებულია.

როგორ შეიძლება, ბრალდებები შეუთითხნო მთავარ კანდიდატს, ყოფილ პრეზიდენტს და სცადო მოიშორო პოლიტიკური ავანსცენიდან იმის გამო, რომ პოპულარულია, რომ და იმ ფსევდო ლიბერალებსა და ფსევდო ფასეულობების გამტარებლებს ემუქრება, რომლებმაც ძალიან შეაწუხეს საზოგადოება, როგორც ამერიკაში, ასევე ევროპაში! ახლა უკვე, 6-9 ივნისს, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს და რა შედეგებს მოიმკიან ფსევდო ლიბერალები, რომლებიც ცდილობენ, ჩაახშონ მემარჯვენე კონსერვატორების ხმა, - ამასაც ვნახავთ. ეს ხმა არ დაიკარგება არცერთ ქვეყანაში. პარადოქსია, რომ, თუ ადრე კონსერვატორების მხარეს შედარებით ასაკოვანი ადამიანები იდგნენ, უკვე მათ მიმართ დადებითმა განწყობებმა ევროპელ ახალგაზრდებშიც იფეთქა, რადგან ეს მარტო ფსევდო ლიბერალური ფასეულობების თავსმოხვევა კი არ არის, აქ არის უკონტროლო იმიგრაცია, უკონტროლო ჩარევა წევრი ქვეყნების შიდა საქმეებში და ასე შემდეგ... მაგრამ ამით რა შედეგსაც მიიღებს ბრიუსელის ევროკრატია, კარგად დავინახავთ 9 ივნისის შედეგების შეჯამების შემდეგ.

**– ანუ, თქვენ ამბობთ, რომ ამ შედეგებს, გარკვეულწილად, აშშ-ში მიმდინარე პროცესებზეც ექნება გავლენა?**

– საქმე ის არის, რომ აბსოლუტურად გაუგებარი პოლიტიკური შედეგის მოლოდინში არიან თავად ამერიკელი პოლიტიკური მიმომხილველები, იქიდან გამომდინარე, რომ ტრამპს ემუქრება შეთითხნილი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ბაიდენი, რომელსაც, ფიზიკური უძლურების გამო არ შეუძლია ქვეყნის მართვა, არის ტრამპთან შედარებით ურეიტინგო და როგორ განვითარდება მოვლენები, არავინ იცის! სამოქალაქო დაპირისპირება არავის სურს, არც ამერიკაში და არცერთ ცივილიზებულ ქვეყანაში. თუმცა, იქამდეა ტემპერატურა აწეული „რესპუბლიკელებსა“ და „დემოკრატებს“ შორის, რომ ეს ასე არ დამთავრდება, ტრამპის მომხრე ათეულობით მილიონი ადამიანი არ დაუშვებს, რომ მათი კანდიდატი შეთითხნილი ბრალდებებით საპატიმროში გაუშვან.

**– სავარაუდოდ, თბილისში საპროტესტო აქციაზე რომ იდგნენ, იმ ევროპარლამენტარებს ვეღარ ვიხილავთ ახალი მოწვევის ევროპარლამენტში...**

– მაგალითად, ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც თავხედურ განცხადებებს აკეთებდა თბილისში პარლამენტის წინ, ანტისახელისუფლებო მიტინგზე, ესტონეთში 5-პროცენტიანი რეიტ-

ინგის მქონე პარტიის წარმომადგენელია. მას სურდა, თავი წარმოეჩინა, რომ ვითომ „ევროპულ მისწრაფებებს“ უჭერს მხარს საქართველოში. ამ დროს, ხსენებული ესტონელი პოლიტიკოსის პარტიაში, არის სკანდალები ფინანსურ მაქინაციებთან, მათ შორის, უკრაინის დასახმარებლად შესაგროვებელ თანხებთან დაკავშირებით და ჩვენ გვამუნათებს იმ ქვეყნის წარმომადგენელი, რომლის პრემიერ-მინისტრის, ქალბატონი კალასის მეუღლეს ჰქონდა და შეიძლება ახლაც აქვს ბიზნეს-კავშირები რუსეთთან და თურმე მისმა მეუღლემ, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ეს არ იცის! ხომ ხედავთ, როგორ აბსურდთან გვაქვს საქმე!

პირველად ამ ინსტიტუტის ისტორიაში ისიც მოხდა, რომ რამდენიმე დღის წინათ, ბრუსელისა და სტრასბურგის ევროპარლამენტის ოფისებში შევიდა პოლიცია ჩხრეკით, რათა აღმოეჩინა რუსული გავლენების კონკრეტული კვალი ევროპარლამენტში. ესენი „ქართულ ოცნებას“ და მის მომხრეებს ამუნათებენ ვითომდა „პრორუსულობის“ გამო, თავად კი, რუსეთიდან იღებენ ფულს პოლიტიკური გავლენების წინ წასაწევად. რაც ახლა ბრიუსელსა და სტრასბურგში მძვინვარებს, ეს არის აბსოლუტური სიმყრალე, პოლიტიკურ-ზნეობრივი თვალსაზრისით, ევროკრატიაში.

**– ბატონო გია, როგორც იქნა ანაკლიის გრანდიოზული პროექტი დაიწყო. თუმცა, ქართველი რადიკალები ამჯერადაც, ინვესტორ ჩინურ კომპანიას „რუსულ“ კომპანიასთან აიგივებენ და თან კორუფციაში ადანაშაულებენ...**

–„ნაციონალური მოძრაობა“, საკუთარი გახრწნილობიდან გამომდინარე, ყველაფერს ისე ხედავს, როგორც თავად აკეთებდა: კორუფციული ტენდერები, კორუფციული გარიგებები და ეგრეთ წოდებული ატკატები იყო სააკაშვილის რეჟიმის ხელწერა. „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დროს ყველაფერი კეთდება გამჭვირვალედ. მათ შორის, ავტობანის მშენებლობა, რაზეც არაერთხელ გააკეთეს ცილისმწამებლური განცხადება, რომ თითქოს იქ თანხებს იპარავდნენ.

ამჯერად ტენდერში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვა შვეიცარულ-ლუქსემბურგულმა კორპორაციამ და ჩინურ-სინგაპურულმა კონსორციუმმა და ამ უკანასკნელმა შეიტანა საბოლოო განაცხადი.

ცილისწამების ნიაღვარი წამოვიდა, მაგალითად, თინა ხიდაშელისგან, რომელიც ირიბად აღიარებს, რომ ტაივანის ინტერესების გამომხატველია და ტაივანის ვალუტით ფინანსდება. ცილისმწამებლური განცხადებით გამოვიდა მამუკა ხაზარაძე, სერტიფიცირებული თაღლითი, რომელმაც ანაკლიის პროექტი ჩააგდო, შემოიყვანა გაუგებარი ამერიკული ჯგუფი და, ამავე დროს, სურდა, საქართველოსთვის რუსი-ყაზახი ოლიგარქები შემოესაღებინა. მათ ბრიტანელ ბიზნესმენებს უწოდებდა. ეს ყველაფერი აღმოაჩინა ხელისუფლებამ, რამდენჯერმე მოითხოვეს შეცდომების გამოსწორებაც და, რასაკვირველია, შეუსრულებელი პირობების გამო, მათ საბოლოოდ უარი უთხრეს ანაკლიის პროექტის რეალიზაციაზე, თორემ აქამდე ეს პორტი ისტორიულ მისიას შეასრულებდა.

ახლა მოდით, ცოტა ფართოდ შევხედოთ საკითხს, - რამდენი წელია, საქართველოს ხელისუფლება სთხოვს ამერიკას, რომ გარდა თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის დამყარებისა, ანაკლიაში მათი ხელშეწყობით შემოეყვანათ ან ამერიკული, ან რომელიმე დასავლური ქვეყანა, - არავინ შემოსულა.

სამაგიეროდ, ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის დაწყების შემდეგ, ვხედავთ რაც ხდება: უვიზო მიმოსვლა, პირდაპირი ავიარეისები და ახლა უკვე მრავალმილიარდიანი ინვესტიცია. ჩინეთს აქვს, ასევე, ინვესტიცია ქუთაისში, ელექტრომობილების ქარხანაში და უკვე ფუნდამენტურ განსხვავებას ვხედავთ ჩვენი ქვეყნის მიმართ ჩინეთის დამოკიდებულებასა და აშშ-ის დამოკიდებულებას შორის. ამერიკის დახმარება ამ 30 წლის განმავლობაში (დიდი მადლობა, რაც ჩვენთვის გაიღეს), ძირითადად, გრანტების და სესხების სახით მივიღეთ. ჩინეთი კი შემოდის დიდძალი ინვესტიციებით. მე მგონი, განსხვავება არის თევზისა და ანკესის მოწოდებას შორის.

**- რამდენიმე დღის წინ საქართველოში ჩინეთთან უვიზო მიმოსვლა ამოქმედდა და ფრენების სიხშირეც გაიზარდა. როგორ ეკონომიკურ ეფექტს ელოდებით და როდის შეიძლება დაინახოს ამის შედეგი ჩვენმა ქვეყანამ?**

- აქ ერთი მთავარი მომენტია - ტრანსკასპიური აღმოსავლეთ-დასავლეთის შუა დერეფანი, რომელიც საქართველოს და მთლიანად რეგიონს, აძლევს პერსპექტივების უდიდეს დიაპაზონს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. პლანეტაზე ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ეკონომიკის მქონე ქვეყანა ჩინეთი ენდობა აზერბაიჯანს და საქართველოს, სადაც საქართველო არის მთავარი გამტარი ტვირთის გასატანად. უკვე ამოქმედდა ტვირთების სარკინიგზო მიმოსვლა, ავტომანქანები უკვე საქართველოს გავლით ჩავიდნენ თურქეთში... რაც ძალიან იმედისმომცემი პერსპექტივაა. ამიტომ ძალიან ბრიყვები არიან ნაცებთან აფილირებული ვითომ განსწავლული „ექსპერტები", რომლებიც ამბობენ, რომ ეს არის „რუსული" პროექტი. როგორ შეიძლება რუსეთს თავის სამხრეთით ისეთი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა აწყობდეს, რომელიც მის მიერ ნაწილობრივ ოკუპირებულია. ლოგიკა და რაციონალური აზროვნება აბსოლუტურად წაშლილია ნაცსექტაში, რომლებიც ირიბად თუ პირდაპირ რუსეთისთვის სასარგებლო იდიოტები არიან, რადგან რუსეთს აწყობს დესტაბილიზაცია და ამ დესტაბილიზაციის განმახორციელებელია „ნაცმოძრაობა" თავისი განშტოებებით.

რაც შეეხება ჩინეთს, ამიერიდან ჩვენს ქვეყანას ექნება მასთან უვიზო მიმოსვლა, პირდაპირი კავშირები და, დიდი ალბათობით, ჩინური სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ბანკებიც შემოვა საქართველოში. ეს ყველაფერი მრავალფეროვან და მრავალდარგოვან თანამშრომლობას ავითარებს. რა ჯობია იმას, რომ ჩინეთის სამეცნიერო-ტექნოლოგიურ განშტოებებთან ქართველ სპეციალისტებს მჭიდრო ურთიერთობა ექნებათ; რომ საქართველო, განათლებისა და კულტურის თვალსაზრისით, არამხოლოდ ჩინეთთან, არამედ ბევრ სხვა ქვეყანასთან ითანამშრომლებს თავაწეული და არა ვიღაცის ინსტრუქციებს დამორჩილებული! ეს არის იმის დამსახურება, რასაც ხელისუფლება აკეთებს.

ხელისუფლება არ არის არც პრორუსული და არც პროჩინური. ხელისუფლებას აქვს ხაზგასმით გაცხადებული მრავალვექტორული პოლიტიკა. უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები სამხრეთ კორეასთან, ვაჭრობის გაღრმავების მიზნით. საქართველო აწარმოებს ინტენსიურ მოლაპარაკებებს სპარსეთის ყურის ქვეყნებთან, გვაქვს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობები არაბულ სამყაროსთან, საამიროებთან... ეს ნიშნავს, რომ პროარაბულია საქართველოს ხელისუფლება, ან პროკორეული? ძალიან ბრიყვია ნებისმიერი მოლაპარაკე თავი, რომელსაც აქვს პრეტენზია, რომ მცოდნეა და ასეთ სისულელეებს ლაპარაკობს! საქართველოს აქვს მრავალვექტორული პოლიტიკა, რომელიც ემყარება მშვიდობას და ქვეყნის თანმიმდევრულ განვითარებას, რაც ქვეყნის გაერთიანების საწინდარია.

დღიდან მოსვლისა, „ქართული ოცნება" ამბობს, რომ მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა გავაერთიანოთ ქვეყანა. როცა ქვეყანა მძლავრ ეკონომიკურ ნახტომს გააკეთებს, რასაკვირველია, დაინტერესდებიან რუსულ საოკუპაციო კარს მიღმა მცხოვრები ჩვენი დები და ძმები, რომ თურმე აქ კარგი ცხოვრებაა, თურმე, ჩვენთან დალაპარაკებაც შეიძლება. იარაღის ჟღარუნით და ტრაგიკომიკური მუქარით კი არ უნდა ველაპარაკოთ, არამედ, უნდა დავაინტერესოთ ისინი, რომ საქართველო არის მშვიდობიანი, ეკონომიკურ კეთილდღეობაზე, ხალხის განვითარებაზე ორიენტირებული ქვეყანა. ეს არის ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი და ამისკენ მიდის ყველაფერი. ღმერთმა ინებოს, რომ შინაური თუ გარეშე მტრების ობსტრუქციების მიუხედავად, მშვიდობიანად გავიდეს ფონს ჩვენი საქართველო!

**ნონა ქარქაშაძე**

# ქართველის მოთხოვნა: ახალი საქართველოს აღმშენებლობისას ნუღარ ჩაატანთ მის კედელში „ნაციონალურ კვერცხს" ასაყროლებლად!

3 გვ.

უნდა გასამართლდეს! არ გასამართლდება და ხელისუფლება ემზადოს სამოქალაქო ომისთვის!

სანამ „რაღაც აყროლებულა დანიის სამეფოში" და ახალ-ახალი უბედურებები მოგვდგომია ყველა ჩვენგანს კარზე „თბილისური მაიდნის" სახით და კიდევ ერთხელ დაგვიხოცავს ერთმანეთი, „იმპორტული თევზის" აყროლებული თავი უნდა მოიკვეთოს!

არ მოიძებნა მათი ჩადენილი ავკაცობების გამომძიებელი და ბრალმდებელი, მაგრამ სანაცვლოდ მოიძებნა გენდერული პოლიცია და გენდერული სასამართლო, აპრიორი, ყოველთვის კაცი რომ არის მტყუანი ქალთან და ამის გამო ოჯახები ინგრევა, პრეზიდენტმაც ღირსების მედლით დააჯილდოვა კრებსითი ბაია პატარაიები — ეს სიმახინჯე უნდა ამოიძირკვოს!

როდესაც ვლადიმირ ვისოცკის უცხოელმა ჟურნალისტებმა საბჭოთა კავშირის შესახებ დაუსვეს შეკითხვა, მან უპასუხა|: მე პრეტენზიები მაქვს ჩემს სამშობლოსთან, მაგრამ ამის განსჯას თქვენთან არ ვაპირებო. ასე ვუპასუხებდი მეც, თორემ, ჩემს სამშობლოში რა ხდება, ჩემზე უკეთ ვინ იცის?

მიმაჩნია, რომ სასამართლოს რეფორმა საქართველოში, ფაქტობრივად სამჯერ ჩატარდა, მაგრამ პირუკუ, უარესობისკენ. მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეები არ არის არსად, ყველაფერთან ერთად, სამოქალაქო საქმეებიც არის და ბევრად მეტი, ვიდრე სისხლის სამართლისა — საკუთარ თავზეც ვიწვნიე რა სახის სამართლიანობაც არის და სხვისი ჭირიც ზედმიწევნით ვიცი. ისეთი მდგომარეობაა, ვეჭვობ, კიდევ ერთმა სასამართლო რეფორმამ უშველოს...

**ახალი საქართველოს დაჩქარებული აღმშენებლობა თუ მართლა არის ჩვენს გეგმაში, ეს სახურვიდან ვერ დაიწყება, საძირკვლიდან უნდა დაიწყოს, იმ საძირკვლიდან, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ბეტონით გადალესეს და შავი მიწაც წააყარეს ხან „მოქალაქეთა კავშირის", ხან „ნაცმოძრაობის" სახით, საბოლოოდ დასასამარებლად.**

**სანამ არ დაბრუნდება სიტყვა და ცნება „სამშობლო" სიტყვა „ქვეყანა"-ს ნაცვლად და სამშობლოს ღალატის მუხლი არ აღდგება;**

**სანამ არ აღდგება ცილისწამების მუხლი;**

**სანამ სამარცხვინო იქნება პატრიოტიზმი;**

**სანამ ქართულზე წინ ნებისმიერი ენა იდგება;**

**სანამ იაკობ გოგებაშვილი არ ასწავლის ბავშვებს „დედა ენას";**

**სანამ ვერ გავარჩევთ, ჩვენი ისტორიული მეზობლებიდან ვის რა ბოროტება ან სიკეთე უკეთებია მეტნაკლებად საქართველოსთვის;**

**სანამ ნარკომანს, სექსუალურად გადახრილს და სხვა დარღვევების მქონეს არ დაერქმევა ავადმყოფი;**

**სანამ საქართველო არ ჩაეხსნება „ბოლივიის პროცესს" და განათლება არ გახდება პრიორიტეტი;**

**სანამ ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქმევა და კანონით არ აიკრძალება ნებისმიერი ფაშისტური გამოვლინების პარტია, ორგანიზაცია თუ სექტა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ჩაფენილ ნიადაგზე პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" დროშის ფრიალის ქვეშ ვერანაირი ახალი საქართველო ვერ აშენდება!**

**მორბენალ თავწაცლილ ქათამს თუ დროულად არ მიხედავს კარგი დიასახლისი, ჯერ ხომ სისხლით მოთხვრის იქაურობას, შემდეგ კი, რომ გაცივდება, აღარც გაიპუტება, ხოლო თუ კიდევ არ მიეხედა, გარემოსაც აამყრალებს...**

**შურისმაძიებელი მშენებლების ძველი ილეთია — როდესაც დამკვეთი უდიერად ექცევა დაქირავებულებს, მშენებლობისას კვერცხს ატანენ გაჯწასმულ და გალესილ კედელში. დიდი დრო უნდა კვერცხის ლპობის სუნის კედლიდან გამოღწევას, მაგრამ მერე ისეთი სუნი დგება, იქ ცხოვრება შეუძლებელი ხდება, არადა, სიმყრალის გამოდევნაც, პრაქტიკულად, შეუძლებელია...**

**გნებავთ, საზოგადოების თხოვნად მიიღეთ, ვისაც ეს ეხება, გნებავთ, მოთხოვნად: ახალი საქართველოს აღმშენებლობისას ნუღარ ჩაატანთ მის კედელში „ნაციონალურ კვერცხს" ასაყროლებლად!**

**მაია ჭელიძე**


უღრმესი მადლიერება —
„საერთო გაზეთის" სარედაქციო კოლექტივს
მთელ შემადგენლობას, პირადად მთავარ რედაქტორს — ქალბა-
ტონ მანანა ნადირაძეს — გაზეთის 29 მაისის ნო-
მერში ჩემი წერილის — „საქართველოს 2008 წლის აგვისტოს
ომზე" — [illegible]
გამოქვეყნებისათვის.
[illegible]
31 მაისი, 2024 წ.

# ჩინეთი ერთადერთი ზესახელმწიფოა, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტორი და მხარდამჭერი იქნება

*გვესაუბრება კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა:*

**— ბატონო გოგა, საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს ანაკლიის პორტს ჩინურ-სინგაპურული კონსორციუმი ააშენებს...**

— ანაკლიის პორტის მშენებლობა, პირველ რიგში, მნიშვნელოვანი ეკონომიკური თვალსაზრისითაა. ის აზიიდან წამოსული ტვირთების ევროპის კარიბჭეა. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც მსგავსი პორტის მშენებლობით შეიძლება იყოს დაინტერესებული, ჩინეთია. სხვას ამ რაოდენობის ტვირთი ევროპაში გადასაზიდად არავის გააჩნია. ისტორიულად, „აბრეშუმის გზა“, რომელიც ჩინეთიდან ევროპისკენ მიდიოდა, სამ ნაწილად იყოფოდა: ერთი, რუსეთის ტერიტორიაზე, მეორე — სპარსეთის, ხოლო მესამე საქართველოზე გადიოდა. ახლა პირველი ორი მარშრუტი აღარ არსებობს და ერთადერთი გზა საქართველოზე გადის.

თავის დროზე, ამერიკელების დავალებით, ხაზარაძემ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ შექმნა. ერთ-ერთი ინვესტორი კომპანია „კონტი ჯგუფი“ გახლდათ, რომელსაც არცერთი თეთრი ინვესტიცია არ ჩაუდია. ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ანაკლიის პორტი არ აშენებულიყო, რადგან ამერიკას მისი მშენებლობის არანაირი ინტერესი არ აქვს და არც ჰქონია. რა ტვირთი უნდა გაატაროს ამერიკამ?! რაც შეეხება სამხედრო, სტრატეგიული თვალსაზრისით პორტის გამოყენებას, ამერიკა ვერც ამას შეძლებს, რადგან შავ ზღვაში სამხედრო გემებით შემოსვლა დიდ პრობლემას წარმოადგენს, მით უმეტეს, რომ ბოსფორის სრუტეს თურქეთი აკონტროლებს. აშკარაა, რომ ამერიკას ეს პორტი ევროპის ეკონომიკაზე ზეგავლენის მოსახდენად სჭირდებოდა.

დღეს ნათლად ვხედავთ, რა დღეში ჩააგდო ამერიკამ ევროპა. გერმანია ამის ხილული მაგალითია. სანქციებით, რაც დასავლეთმა ვითომ რუსეთს დაუწესა, საბოლოოდ, ევროპას ანგრევს. გერმანია იძულებული გახდა, „მერსედესის“ ქარხნებიც კი ამერიკაში გადაეტანა. მთელი გერმანული კაპიტალის გადინება ხდება. ამიტომ ანაკლიის პორტის ჩინურ-სინგაპურული კონსორციუმის მიერ აშენება, ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისითაც, მნიშვნელოვანი და მასშტაბური პროექტია.

ეს მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, როცა ლაპარაკია რუსეთის მხრიდან ოკუპირებულ აფხაზეთში განხორციელებულ უკანონო ქმედებებზე. ხშირად საუბრობენ, რომ რუსეთი ოჩამჩირის წყალქვეშა ნავების სადგომი პორტის აღზევებას ცდილობს. როგორ წარმოგიდგენიათ, ათი კილომეტრის მოშორებით კონფლიქტის ზონიდან, ჩინეთი და სხვა დაინტერესებული ქვეყნები, დიდ თანხებს რომ ჩადებენ, ასეთი ინტენსიური სავაჭრო პორტის გვერდით ჩინეთი დაუშვებს, რომ უკანონოდ მითვისებულ ტერიტორიაზე რუსეთს თავისი სამხედრო წყალქვეშა ნავები ჰყავდეს?! — რა თქმა უნდა, არა. წარმოვიდგინოთ, რომ სი ძინპინი და პუტინი ერთმანეთთან საუბრობენ და ისმის შეკითხვა: ვისია ყირიმი? — პუტინი პასუხობს: ჩემიო. შემდეგი შეკითხვაა: ვისია ტაივანი? სი ძინპინი პასუხობს: ჩემიო. ამ მოსაზრებებს ორივე ეთანხმება. შემდეგ სი ძინპინი კითხულობს: ვისია აფხაზეთი? რუსეთი ვერ ეტყვის: ჩემიო, რადგან ეს საქართველოს ტერიტორიაა. ამ შემთხვევაში, ჩინეთის პოზიცია ძალიან მნიშვნელოვანია. ის ერთადერთი ზესახელმწიფოა, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტორი და მხარდამჭერი იქნება.

ამ დროს ჩვენი ყბადაღებული „სტრატეგიული მეგობრები“ მაქსიმალურად ცდილობენ, შარში გაგვხვიონ. მუდმივი მეგობრები არ არსებობს, არსებობს მუდმივი ინტერესები. დღეს ჩვენი და აშშ-ის ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა, პირიქით, საპირისპიროა. ჩვენ მშვიდობა გვინდა, ამერიკას კი — რუსეთზე გამარჯვება. თუმცა ამ კუთხით, ნატო-სთან ერთად, ძალიან მოიკოჭლებს. რასაც უკრაინაში ვხედავთ, ნატო-ს სამხედრო ინფრასტრუქტურის სრული კრახი და კატასტროფაა. უკრაინული ჯარი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია იყო, მაგრამ ახლა განადგურებულია. დასავლეთი ყველანაირ ხერხს მიმართავს, რათა რუსეთს პრობლემები შეუქმნას. ერთ-ერთ პოტენციურ სირთულედ მოიაზრება საქართველო. თუმცა, ომში ჩართვაზე კატეგორიული უარი განვაცხადეთ, რამაც დასავლეთის გაშმაგება გამოიწვია.

**— ამერიკამ უკრაინას უფლება მისცა, რუსეთის ტერიტორიაზე სარაკეტო დარტყმები განახორციელოს...**

— ძალიან მაინტერესებს, ვინ ეკითხება ამერიკას, უკრაინას რის უფლებას მისცემს და რისას — არა. რა განცხადებებს აკეთებენ, უკვე აღქმის უნარიც კი დაკარგეს. რას ნიშნავს, უფლებას აძლევს, ვინ დანიშნა აშშ მსოფლიოს ან უკრაინის დირექტორად?! ეს ცხადად მეტყველებს, რა მდგომარეობაშია ე. წ. დასავლური სამყარო, რომელიც დემოკრატიით, ლიბერალიზმით იკვებნიდა და ახლა ყველა მანკიერება თავზე ჩამოექცა, რაც ევროპის მაგალითზე თვალნათლივ ჩანს.

დააკვირდით, ისლანდიიდან დაწყებული, ესპანეთით დამთავრებული, ყველა ერთსა და იმავე დროს, ერთი და იგივე სიტყვებით მეტყველებს. ისინი ერთი ოთახიდან, ღილაკზე თითის დაჭერით იმართებიან, რაც ნიშნავს, რომ აშშ-მ მთელი თავისი აგენტურა ევროპაში „გაყიდა“ ერთი მარტივი კანონის გამო, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო. მათ ამ კანონზე ცხვირ-პირი დაიმტვრიეს, რაც სავალალოა. ამას გულწრფელად განვიცდი, რადგან ერთადერთი მდგომარეობა, როცა საქართველო შესაძლებელია უსაფრთხოდ იყოს, მსოფლიოში ბალანსის შემთხვევაში მიიღწევა. ვფიქრობ, ბალანსი აუცილებლად აღდგება. გავითვალისწინოთ, რომ აშშ კატასტროფის წინაშეა. ადრე თუ გვიან „წმინდა ადგილს“ სხვა რომელიმე გაერთიანება, სახელმწიფო დაიკავებს და ბალანსიც აღდგება. დაუბალანსებელი მსოფლიო ყველასთვის საფრთხეს წარმოადგენს, მით უმეტეს, ბირთვულ ეპოქაში.

**— როგორ ფიქრობთ, უკრაინა კონტრშეტევას გაბედავს?**

— რა კონტრშეტევა უნდა განახორციელოს, როცა აღარც ჭურვი აქვს და, პრაქტიკულად, ჯარიც ქმედუუნაროა. მილიონამდე უკრაინელი სამხედროდან ზოგი დაღუპულია, ზოგიც — დასახიჩრებული. წესიერად შეიარაღებასაც არ აწვდიან. უკრაინის ხელმძღვანელობისგან მუდმივად გვესმის ღაღადი, იარაღი მოგვაწოდეთო. ცხადია, ომი რა შედეგითაც დასრულდება. ფსევდოლიბერალი ევროპელები და ამერიკელები საკუთარი შიშებისგან იცავენ თავს, ოღონდ, ამას უკრაინელი ერი ეწირება.

მეგობრობა პოლიტიკაში მითია, ისევე, როგორც დემოკრატია. მხოლოდ საჭიროებები არსებობს. ჰეგემონები ამ საჭიროებებისთვის, ვითომ სტრატეგიული პარტნიორობის საბაბით, სხვადასხვა ქვეყნებს იყენებენ. საქართველოს ამერიკასთან სტრატეგიული პარტნიორობა სწორედ ამის მანიშნებელია. ოცდაათი წლის „მეგობრობის“ განმავლობაში, ამერიკასთან უვიზო მიმოსვლაც კი არ გვაქვს, აღარაფერს ვამბობ თავისუფალ სავაჭრო ურთიერთობებზე. აღმოჩნდა, რომ, რასაც „გვახარჯავენ“, ესეც საკუთარი ინტერესების, გავლენების გასაძლიერებლად სჭირდებათ.

**— ახლა ხომ გვითხრეს, თუ კანონს გაიწვევთ, ვიზალიბერალიზაციას მიიღებთო...**

— ეს ზღაპარი ბაიდენმა თავის ვიცე-პრეზიდენტს მოუყვეს. ანდა, იმ მთავარ ექიმს, რომელმაც ამერიკის პრეზიდენტს შესთავაზა, ქალების ორსულობის სახელმწიფო პროგრამასთან ერთად, კაცების ორსულობის პროგრამაც გაითვალისწინეთო.

**— ბატონო გოგა, პარლამენტმა ზურაბიშვილის ვეტო დაძლია...**

— პრაქტიკულად, კანონი უკვე ამოქმედებულია. იმაზე მეტი, რასაც ვუყურებთ, კანონმა რაღა უნდა გააკეთოს — აგენტურა აღარც მალავს, ვერც საზღვრავს, ისე ააშკარავებს, რომ საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ უცხო ძალებს ემსახურება. ყველა გაიშიფრა. ღრმად ჩამალული აგენტებიც კი ზედაპირზე ამოტივტივდნენ.

გაიხსენონ 17 მაისი და ადვილად მიხვდებიან, საქართველო, ქართველი ხალხი სად არის. ამ აგენტების ქომაგმა, მყეფარე გათხოვილმა მამაკაცმა როთმა ახლახან მიგვითითა: მართლმადიდებელი ეკლესია ჩვენი მხრიდან ზეწოლას, კრიტიკას უნდა მიეჩვიოს, თუ არ იარსებებს, უკეთესი იქნებაო. ალბათ, მეორედ გათხოვებას ვეღარ შეძლებს, ხელი შეეშლება და ამაზე წუხს. ამერიკის ყოფილი ელჩი კელი დეგნანი, რომელიც აქ გარაჟებს ანაწილებდა, გვაყვედრიდა, ბევრი ფული დაგახარჯეთო. კი ბატონო, ნამდვილად დახარჯეს დიდი ფული, რათა ეს ახალგაზრდობა მოეწამლათ. ახლა ამ თაობის „გამზრდელებს“ და „მქადაგებლებს“ გადავხედოთ: ნანა ჯანელიძე, ლანა ღოღობერიძე და მგონი, ნათელია, რასთან გვაქვს საქმე.

ეს მცირე არეალის მიზანმიმართული ქმედებაა. სამწუხაროდ, ამ ახალგაზრდობის რიცხვი არცთუ მცირეა, მათ ხომ დასავლეთიდან შემოსული „ინვესტიციებით“ ოცდაათი წელია, ზრდიან და წამლავენ. სხვადასხვა ასაკის, თაობის გარკვეული რაოდენობა გამოზარდეს, მაგრამ ეს არ არის კრიტიკული მასა იმისთვის, რომ ქვეყანაში ცვლილებები მოახდინონ. ბუნებრივია, ახლა ჰაერს გააფუჭებენ, აბა, სხვა რისი უნარი აქვთ?! ხაბეიშვილი, ლენინელი ხაზარაძე, ლიაკა ხოშტარია და შარვალჩახდილი გირჩი რომ გეყოლებიან ლიდერებად, რევოლუცია როგორ უნდა მოახდინო?! თუმცა, ეფექტს კი შექმნიან.

ფსევდოლიბერალური ევროპიდან, ამერიკიდან, მთელი სიცრუის მანქანაა ჩართული, რათა აქ აპოკალიფსური სურათი დახატონ. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, როგორია რეალობა. ბევრად უარეს განსაცდელშიც ვყოფილვართ და გაგვიძლია. ახლაც გავუმკლავდებით. აღარც კი მახსოვს, ბოლოს როდის იყო საქართველო ამდენად დამოუკიდებელი და სუვერენული, როგორც დღეს არის.

12 გვ.

# ფაშიზმი მსოფლიოში ლიბერალიზმის სახით დაბრუნდა

***პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებზე პარტია „ხალხის ძალის“ წევრი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი თამარ ჩიბურდანიძე საუბრობს:***

**- ქალბატონო თამარ, ახლოვდება არჩევნები, პოლარიზაცია კი დღითიდღე მწვავდება, მით უფრო, ვეტოს დაძლევის შემდეგ. როგორ უნდა იმოქმედოს ამ შემთხვევაში ხელისუფლებამ?**

- ბუნებრივია, კანონის მიღებამ გააღრმავა და პიკამდე მიიყვანა პოლარიზაცია, რადგან ამით გზა ეკეტებათ იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც ენჯეო-ების გავლით ფინანსდებიან უცხოეთიდან. გვაქვს ინფორმაცია, რომ 3000 ახალგაზრდა, რომელიც რუსთაველზე ორი თვის განმავლობაში იდგა და რომლებსაც გამოჰყავდათ სხვა ახალგაზრდები, კარგად დატრენინგებული და მომზადებული იყვნენ რევოლუციის მოსაწყობად. ამ 3000 ახალგაზრდას უხდიან მაღალ ანაზღაურებას, რათა შეძლონ დანარჩენების გამოყვანა და კონკრეტული დავალებების შესრულება. ოპოზიციური პოლიტიკა ფინანსდება ირიბად, ენჯეო-ების სახით. მათ ევალებათ ხელისუფლების ცვლილება, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება და ვინ გააკეთებს ამას, „ნაცმოძრაობა“ თუ ეკა გიგაური, დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ ფული იხარჯება ამ საქმისთვის. ყველაფერს გავიგებთ უკვე კანონის ამოქმედების შემდეგ, - ეს დაფინანსება, რომელიც ენჯეოებში იხარჯებოდა, მთლიანად თეთრი ფული იყო, თუ „ქეშად“ შემოტანილი თანხა. მაქვს ინფორმაცია, რომ რამდენიმე ენჯეო-ს ხელმძღვანელი ხელზე იღებდა თანხას და ამასაც, ალბათ, გამოძიება მიხედავს.

რაც შეეხება პოლარიზაციის დასრულებას, ის ჯერ ვერ დასრულდება და არ დასრულდება, რადგან წინ არის საპარლამენტო არჩევნები და ოპოზიცია სწორედ ამისთვის ემზადებოდა მთელი ამ დროის განმავლობაში. ელემენტარული ლოგიკაა, რომ შეუძლებელია ხელისუფლების შეცვლა და რევოლუციის მოხდენა, პოლარიზაციის გარეშე. თუ იდოლოგიურად არ დაუპირისპირე ადამიანები ერთმანეთს, ეს არ მოხდება. აქედან გამომდინარე, ხელისუფლება კი არ აღრმავებს პოლარიზაციას, როგორც თვითონ ამბობენ, - ამას ოპოზიცია აკეთებს. მათ უნდათ რევოლუცია და ამას არც თვითონ და არც მათი დამფინანსებლები არ მალავენ, რომლებიც „მაიდნისკენ“ მოუწოდებდნენ საზოგადოებას. მათ ვერ მოაწყვეს რევოლუცია გაზაფხულზე, მაგრამ ემზადებიან რევოლუციისთვის შემოდგომაზე. რა მოხდება, ვერ გეტყვით. ეს არის მართლაც ლიბერალური ფაშიზმი. ესენი უიარაღოდ უწყობენ გენოციდს საკუთარ ხალხს. ეს არის ფაშისტური გენოციდი.

**- მწვავე შეფასებები მოჰყვა გურამ მაჭარაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას სოციალურ ქსელში, სადაც წერს, რომ ჯაშუშობის ბრალდებით უნდა გასამართლდნენ ის ადამიანები, ვინც კანონის შემოტანას ეწინააღმდეგებოდა. გარკვეულმა კატეგორიამ ეს განცხადება შეაფასა, როგორც რეპრესიების დაანონსება...**

- ზედმეტად არასწორად იქნა გაგებული რიგი ჯგუფების მიერ გურამ მაჭარაშვილის ნათქვამი. მათ შორის არ იყვნენ მხოლოდ ოპოზიციის წარმომადგენლები, საზოგადოების გარკვეული ნაწილიც ცოტა დაიბნა. ჯაშუშობის მუხლი ჩვენ, დიდი ხანია, გვაქვს ჩვენს კანონმდებლობაში და ეს სიახლე არ არის, თუმცა, მაჭარაშვილს ეს იმ ხალხის მისამართით არ უთქვამს, ვინც მიტინგებზე იდგა. მაჭარაშვილმა იგულისხმა მათი ორგანიზატორები, ხელმძღვანელები, ვინც იმის გამო გვებრძოდა, რომ არ გამჟღავნებულიყო მათი საქმიანობა და დღემდე ამისთვის იბრძვიან, რაც უკვე ჯაშუშობაა!

რადგან უცხო ქვეყანას ემსახურები და მისი გავლენების გამტარებელი ორგანიზაცია ხარ, ესე იგი, სხვაზე მუშაობ და, აქედან გამომდინარე, სწორად დააყენა გურამ მაჭარაშვილმა საკითხი. საზოგადოების იმ ფენას მინდა ვუპასუხო, რომლებმაც მისი ნათქვამი კარგად ვერ გაიგო, - იცით თქვენ, რომ რუსთაველზე დეპუტატების შვილებიც იდგნენ და ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ვინმე იქ მდგომ ისრაელიდან თუ ახლო აღმოსავლეთიდან?! ამით გამოიკვეთა, ვისი ინტერესების გატარება ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში უცხო ფულით და ვის არ სურდა ამის გამოვლენა!

საფრანგეთში ორი კვირის წინ მიიღეს ეს კანონი და უკვე ძალაში შევიდა. ოღონდ ეს არის უმკაცრესი კანონი და ეხება ყველა ქვეყანას (მათ შორის აშშ-ს), გარდა ევროკავშირის ქვეყნებისა. თუმცა, საფრანგეთის პარლამენტის ზედა პალატაში რამდენიმე სენატორი გამოვიდა და გამოთქვა პროტესტი, რომ კანონი უნდა ეხებოდეს ევროკავშირის სახელმწიფოებსაც. მათი არგუმენტი იყო იგივე, რაც ჩვენც არაერთხელ გვითქვამს, რომ -პოლიტიკაში არ არსებობს მეგობარი სახელმწიფო, პოლიტიკაში არსებობენ ინტერესების გამტარებელი სახელმწიფოები. პირობითია როგორც მეგობრობა, ასევე მტრობა, პოლიტიკაში. მეგობრობა გრძელდება იქამდე, სადამდეც ინტერესებია თანხვედრაში და მტრობა იწყება იქ, სადაც ინტერესები ერთმანეთს უპირისპირდება.

დღეს უკვე აგენტობას გასცდა რადიკალების ქმედება და სერიოზული ეჭვი გვაქვს მათ ჯაშუშობაზე. რაღაცამ უნდა შეაჩეროს ეს ფაშიზმი, რომელიც ახლა მსოფლიოში ლიბერალიზმის სახით დაბრუნდა, თორემ წალეკავს ყველაფერს. ჰუმანიზმი კი, ფაშიზმის წინააღმდეგ ვერ იმუშავებს. ამის წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთი იარაღი არის კანონიერი გზით ქმედება. სწორედ ამაზე საუბრობდა გურამ მაჭარაშვილი.

**- ჩინეთმა საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლა უკვე აამოქმედა. ასევე, შუა დერეფნის ისტორიაში პირველად, ჩინეთიდან საქართველოში ორგანიზებული საპილოტე გადაზიდვაც განხორციელდა. თუმცა, ჩვენი ოპოზიცია კვლავაც ანტიჩინურ პროპაგანდას ეწევა და მათ, რატომღაც, რუსეთთან აიგივებს.**

- ჩვენ ოპოზიციას დავარქვით პოლიტიკური გოიმები და დარჩნენ პოლიტიკურ გოიმებად. რამდენიმე დღის წინ ჩინეთი და ამერიკა შეთანხმდა და ამერიკამ, ფაქტობრივად, აღიარა ჩინეთის უფლებები ტაივანზე. საქართველოში კი მაინც ანტიჩინური პროპაგანდა მიდის მაშინ, როდესაც, ამერიკა ცდილობს, ჩინეთთან ურთიერთობა დაალაგოს. ჩინეთთან პარტნიორულ ურთიერთობაზე ოცნებობენ ევროპული სახელმწიფოები, მხოლოდ ხუთ ევროპულ სახელმწიფოს აქვს ეს პერსპექტივა, სხვებმა ვერ მოახერხეს. ქართული ოპოზიცია კი ამ ყველაფერს მიზანმიმართულად ანგრევს. ჩინეთში როგორი წყობაა, მათი გადასაწყვეტია და ჩვენთვის ეს არ არის მნიშვნელოვანი. ჩვენთვის ჩინეთი არის უძლიერესი სახელმწიფო, რომელსაც სურს დასავლეთთან კავშირი, დასავლეთს კი სურს

ჩინეთთან და ინდოეთთან კავშირი. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვართ კარიბჭე და ჩვენ ახლა გვეძლევა სიტუაციის გამოყენების ისტორიული შანსი. შეიძლება ასეთი შანსი კიდევ ერთი საუკუნე აღარ მოგვეცეს. ეს მოცემულობა უნდა გამოვიყენოთ ჩვენს სასარგებლოდ, არავის ჩავაკეტინოთ საზღვარი, არც დასავლეთს და არც აღმოსავლეთს. დასავლეთთანაც და აღმოსავლეთთანაც პარტნიორული ურთიერთობა უნდა გვქოდეს თუნდაც იმიტომ, რომ მათი პოლიტიკა დავაბალანსოთ საქართველოში, რათა ვერც დასავლეთმა მოინდომოს იმაზე მეტი, ვიდრე შეიძლება მიიღოს საქართველოდან და ვერც - აღმოსავლეთმა.

ვცდილობთ, ისე დავალაგოთ პოლიტიკა, რომ საქართველოს, მინიმუმ ერთი საუკუნე მაინც ჰქონდეს გარანტირებული, მშვიდობიანი მომავალი. ოღონდ, მივეჩვიოთ პარტნიორობას და არა ვასალობას, როგორი ურთიერთობაც უნდათ ხოლმე დიდ სახელმწიფოებს პატარა სახელმწიფოებთან. გვინდა, ყველამ თავშეკავებული პოზიცია გამოავლინოს საქართველოს მიმართ, როდესაც მის სუვერენიტეტზე მიდგება საქმე.

**- რაც შეეხება, ანაკლიის პორტის მშენებლობას, რა პერსპექტივებს სთავაზობს ეს გრანდიოზული პროექტი საქართველოს?**

- ვფიქრობ, რას შეიძლება შევადარო ანაკლიის პორტის მშენებლობა და ვერაფერს ვადარებ, იმდენად დიდი პროექტია! ატეხეს ამბავი, რატომ გაიმარჯვა ტენდერში ჩინეთმა და გაავრცელეს დეზინფორმაცია, რომ თურმე, ინვესტორი კომპანია ყოფილა დასანქცირებული. სინამდვილეში, ყველაფერი აღმოჩნდა ტყუილი, გამოქვეყნდა მასალები, დოკუმენტები და ჩვენ ვნახეთ, რომ ეს არის ჩინეთის და სინგაპურის ერთ-ერთი უმსხვილესი კონსორციუმი. გარდა ამისა, ხელისუფლებამ შესთავაზა აშშ-ს, მონაწილეობა მიეღოთ ტენდერში, მაგრამ ისინი არ დათანხმდნენ. რატომ? - არ ვიცით!

ეს პორტი არ გასხვისებულა, ის სახელმწიფოს ეკუთვნის, საკონტროლო პაკეტის მფლობელი არის საქართველო, 51 პროცენტი არის ქართველი ხალხის. ტენდერზე კი გავიდა 49 პროცენტი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის ჩინეთის არის. ჩინეთი, რომელსაც ექნება მართვაში ანაკლიის პორტი, თვითონვე ინება დაინტერესებული, რომ, რაც შეიძლება მეტად დატვირთოს ეს გზა მისგან წამოსული ტვირთით. მოგება მისთვის იქნება დაინტესების სფერო, ჩვენ კი ამით შემოსავლები გვექნება ბიუჯეტში. ბუნებრივია, როდესაც გზა ჩინეთიდან საქართველოს გავლით მოდის და გადის დასავლეთში, ეს არის საუკუნის პროექტი, რომელიც არამხოლოდ ეკონომიკური მნიშვნელობისაა, მას პოლიტიკური დატვირთვაც აქვს. როდესაც ამხელა პროექტი დროებით ოკუპირებული ტერიტორიის საზღვართან იწყება, სადაც ცხელი წერტილია და რუსეთის ჯარი დგას, ლოგიკურია, რომ ჩინეთმა იკისროს მედიატორის როლი და დაგვეხმაროს ჩვენი ტერიტორიების დაბრუნებაში. არცერთ კომპანიას არ უნდა აწყობდეს, რომ ამხელა პროექტი ოკუპირებული ტერიტორიის საზღვართან ხორციელდებოდეს. ამიტომაც გვაქვს არამხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური პერსპექტივაც ჩინეთთან მიმართებაში.

ხელისუფლებამ იცის, საით უნდა წაიყვანოს ქვეყანა. ჩვენ აუცილებლად გვჭირდება ამერიკა, როგორც პარტნიორი სახელმწიფო, აუცილებლად გვჭირდება ევროპა და ევროკავშირის წევრობა, აუცილებლად გვჭირდება ჩინეთი, როგორ უძლიერესი პარტნიორი, გვჭირდება სამხრეთი და აუცილებლად გვჭირდება რუსეთთან სიტუაციის დალაგება, ოღონდ, ეს მოხდება მას შემდეგ, როდესაც ჩვენს ტერიტორიებს დავიბრუნებთ.

**ნონა ქარქაშაძე**

# შეუძლებელია, მიტინგზე დგომით პროფესორმა სტუდენტს საგანი ასწავლოს



*გვესაუბრება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*
*გიორგი გოგოლაშვილი:*

**— ბატონო გიორგი, განათლების სისტემაში არსებული პრობლემები აპრილში დაწყებულმა ახალგაზრდულმა პროტესტმა კიდევ უფრო ნათლად დაგვანახა.**

— რა გითხრათ, წლებია მესმის, რომ განათლების სისტემა მისახედია. ახალ-ახალ კანონებს ვიღებთ, რითაც ამ სფეროს გაუმჯობესებას ვცდილობთ, თუმცა უშედეგოდ. ფაქტობრივად, ვითარების გამოსასწორებლად პრაქტიკული ნაბიჯები არ იდგმება. კი ბატონო, ყველამ ვიცით, რა მნიშვნელობაც აქვს განათლებას ქვეყნის განვითარებისთვის. აკაკი წერეთელმა მე-19 საუკუნეში თქვა, განათლება ჩვენი ბედისწერააო. ვიცით, რომ ეს ჩვენი ბედისწერაა, მაგრამ უკეთესობისკენ მაინც არაფერი იცვლება. გულგატეხილობაზე მეტად გულისდაწყვეტის განცდა მეუფლება.

პატრიარქმა თავის ერთ-ერთ ქადაგებაში აღნიშნა, რომ ქვეყანაში განათლების დონის დაცემა მიზანმიმართულად ხდება. ეს საყურადღებო შეფასება იყო. როცა უწმიდესი და უნეტარესი ასეთ დასკვნას აკეთებს, ვინმემ საპირისპირო ხომ უნდა დაამტკიცოს, მაგრამ სამწუხაროდ, პატრიარქი ამ შეფასებაში არ ცდება. მახსენდება, ოთხი-ხუთი წლის წინათ, ერთ-ერთი მწერლის სატელევიზიო გამოსვლა, სადაც იგი ათი წლის წინ ჩატარებულ საერთაშორისო კვლევებზე საუბრობდა, რის მიხედვითაც გაირკვა, რომ ახალგაზრდებში მშობლიური ენის ცოდნის დონე ძალიან დაბალი იყო. მწერლის თქმით, კვლევის მიხედვით, 150 ქვეყნიდან ბოლო ათეულში ვიყავით. ამ კვლევის შედეგებით რამდენიმე წლის შემდეგ დავინტერესდი და სამწუხაროდ, არაფერი შეცვლილა. მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა „პიზას“ მიხედვით, სტაბილურად ბოლო ათეულში ვიმყოფებით. მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კონკრეტული ნაბიჯები არ გადადგმულა.

**— რა არის მთავარი გამოწვევა — ხარისხი?**

— ზოგადად, დაბალი დონის ცოდნას განათლება აღარ ჰქვია. თუ შედეგი არ ჩანს, ამას განათლებას ვერ ვუწოდებთ. რამდენი წელია ვიბრძვი, რომ სკოლაში საგანი — ქართული ენა დაბრუნდეს. ორი ათეული წლის წინათ ლიტერატურისა და ენის ინტეგრირება მოხდა. არადა, ქართული ენაც და ლიტერატურაც ცალ-ცალკე საგნებად უნდა ისწავლებოდეს. ასე არ შეიძლება. თუმცა, ახლა გვპირდებიან, რომ ამ ინტეგრირებულ საგანს ისევ გაყოფენ.

**— პროფესორ-მასწავლებლებმა აკადემიური მოძრაობა — „ქართული განათლება საფრთხეშია“ დაიწყეს. გაიძახიან, რუსული კანონის გამო განათლების სფერო მიმზიდველი აღარ იქნება და იზოლაციაში მოვექცევითო. რეალურად რა ხდება?**

— ასე არ არის. პირადად მე გამჭვირვალობის კანონსა და იმ უბედურებას შორის, რაც ჩვენს სკოლას სჭირს, ვერანაირ კავშირს ვერ ვხედავ. ეს პოლიტიზებული პედაგოგები, ახალგაზრდები ცდილობენ, ყველა პრობლემა კანონს დაუკავშირონ. განათლების სისტემის გაუმართაობასთან გამჭვირვალობის კანონი არაფერ შუაშია. გავიხსენოთ, რა დღეში ჩააგდო განათლების სფერო ლომაიას რეფორმებმა. მაშინ ამ კანონის ხსენებაც არ იყო, მაგრამ „ვარდების რევოლუციით“ მოსულ ხელისუფლებას განათლების სისტემის ჩამოშლა არ გაძნელებია. წარმოუდგენელია, ვინმემ ამიხსნას, რით გააუარესებს გამჭვირვალობის კანონის მიღება განათლების სფეროს.

ჩემი ყოფილი სტუდენტები, რომელთა ნაწილი უკვე პროფესორები, ლექტორები არიან, ქუჩაში გამოსულან და გაიძახიან, ჩვენ ახალგაზრდების გვერდით ვდგავართო. განა შეიძლება, ქუჩაში დგომით პროფესორმა სტუდენტს საგანი ასწავლოს? — ეს გამორიცხულია. სტუდენტები პროფესორ-მასწავლებლებს მოუწოდებენ, ლექციების ჩატარებას შეეშვით და ჩვენთან ერთად ქუჩაში დადექითო და ესენიც ამ ფეხის ხმას აყოლიან, ლექციების კითხვის ნაცვლად ქუჩაში დგანან და გაიძახიან, არა რუსულ კანონსო.

რა ხდება, ხალხო? ვერ ხვდებით, რომ პოლიტიკა და განათლება ერთმანეთში აგერიათ?! ამ პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებიც თავიანთ სტუდენტებს მოუწოდებენ, ქუჩაში ერთად ხელჩაკიდებულნი დავდგეთო, მინდა ხმამაღლა ვუთხრა: მე, სტუდენტების გვერდით, აუდიტორიაში ვდგავარ და არა ქუჩაში.

ერთ ამბავს შეგახსენებთ: 1918 წელს უნივერსიტეტი ახალი გახსნილი იყო, როცა ბათუმში ოსმალოები შემოვიდნენ. ხელისუფლებამ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას მიმართა, სწავლა შეეწყვიტათ, უნივერსიტეტი დაეკეტათ და სტუდენტები ომში გაეწვიათ. არსებობდა საფრთხე, რომ ოსმალოები თბილისში შემოვიდოდნენ. რექტორმა პეტრე მელიქიშვილმა საბჭოს სხდომა მოიწვია (დეკანი ივანე ჯავახიშვილი გახლდათ. სხდომას ესწრებოდნენ პროფესორები: გიორგი ახვლედიანი, კორნელი კეკელიძე, იოსებ ყიფშიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ფილიპე ლომიძე, შალვა ნუცუბიძე...), სადაც დამსწრე პროფესურამ ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომ სწავლა არ შეწყდებოდა, უნივერსიტეტი არ დაიკეტებოდა, პროფესორ-მასწავლებლები ფრონტზე წასულ სტუდენტებს, დაბრუნების შემდეგ, გაცდენილ საათებს აუნაზღაურებდნენ, თავად კი შენობაში დარჩებოდნენ და, საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტს საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცავდნენ. აი, ეს არის პროფესორის დამოკიდებულება სწავლის, სტუდენტისა და უნივერსიტეტისადმი. ჩვენ ბავშვები სწორედ ამის მაგალითზე უნდა გავზარდოთ და არა ხმამაღლა ვიყვიროთ, ჩემი სტუდენტების გვერდით მეც ქუჩაში ვდგავარო.

**— თანაც, წუხან, გრანტები შეგვიწყდება და ბავშვები სწავლას ველარ შეძლებენო...**

— ეს არის პოლიტიკანობა და სხვა არაფერი, რასაც რეალურ განათლების პროცესთან არავითარი კავშირი არ აქვს. რა შუაშია გრანტი? ვთქვათ, უცხოური გრანტები შეუწყდათ, რა კავშირი აქვს ამას განათლების სისტემაში არსებულ საფრთხესთან? — არავითარი. გავიგოთ, რომ პოლიტიკა და განათლება სხვადასხვა ცნებებია. ქუჩაში მიტინგზე გამოსვლა სასწავლო პროცესს არ უნდა დაუკავშირონ. გვიხაროდა, რომ უნივერსიტეტი აპოლიტიკური დაწესებულება იყო, თუმცა ახლა პირიქითაა.

დავაკვირდეთ, როგორ იქცევიან სტუდენტები ცოდნის ტაძარში. მე პოლიტიკოსი ან რომელიმე პარტიის წევრი არ ვარ, მხოლოდ საქართველოს და ქართული ენის ინტერესები მამოძრავებს. სტუდენტს ავიწყდება, რომ უნივერსიტეტი, უპირველესად, ზნეობრივი სივრცეა. როცა იაკობ გოგებაშვილი და მისი თაობა ეროვნულ განათლებას აფუძნებდნენ, მაშინ თქვეს, რომ განათლებას საფუძვლად ორი პრინციპი უნდა დაედოს — ეროვნულობა და ზნეობრიობა. თუ ამ პრინციპებს გამოვაცლით, ქართული განათლების სისტემა მოკვდება და არაქართულად გადაიქცევაო. ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: ჯავახიშვილი უნივერსიტეტის ეზოში რომ შედიოდა, ქუდს იხდიდა და შენობაში ისე შეაბიჯებდა. იმ პერიოდში, 20-იან წლებში, კომკავშირლებმა, ახალგაზრდა ბოლშევიკებმა ჯავახიშვილს ყვირილი, ლანძღვა დაუწყეს. ეს ბოლშევიკური საქციელი იყო და არა ქართული.

თუ რაღაც არ მოგწონს, ამისთვის არსებობს ტრიბუნა, სადაც შეგიძლია აზრი დააფიქსირო. მაგრამ ზნეობრივ სივრცეში პრემიერს შეურაცხყოფას რომ აყენებ, ეს გამარჯვებას როდი ნიშნავს. იცით, რა მახსენდება? „ვარდების რევოლუციის“ დროს შეიქმნა ორგანიზაცია „კმარა“, რომელთა იდეოლოგები იძახდნენ: ბრძოლას მაშინ მოიგებ, თუ ლექტორებს რაც შეიძლება მეტ შეურაცხყოფას მიაყენებ, დამამცირებელი სიტყვებით მიმართავ, შეაგინებო... ბრძოლის ამ მეთოდს „გასამარჯვებლად“ იყენებდნენ, მაგრამ ეს არ გახლდათ ქართული, ზნეობრივი მეთოდი. არ ვიცი, ამას რატომ აკეთებენ, ან ვინ აქეზებთ?! პრემიერი სტუდენტებს ეხვეწება, მოდი, დავსხდეთ, ვილაპარაკოთო. ესენი კი რას პასუხობენ, ლაპარაკი არ გვინდა, ჩვენ უნდა შეგაფურთხოთ, შეგაგინოთ და დამქირავებლების, წამქეზებლების თვალში მაგარი ბიჭები ვიქნებითო.

**— ბატონო გიორგი, თქვენ ახსენეთ, რომ ლექტორი ქუჩაში კი არა, სტუდენტს აუდიტორიაში უნდა ედგეს გვერდით. მაგრამ განა რა უნდა ისწავლონ იმ ლექტორებისგან, რომელთაც თავად არ აქვთ კანონი წაკითხული და გაიძახიან, არა რუსულ კანონსო.**

— მე მქონდა ერთ ასეთ ლექტორთან საუბარი და მაინტერესებდა: რა არ მოსწონს ამ კანონში, რა არის ის რუსული ნაწილი, რაც ქვეყანას დაღუპავს. ამაზე პასუხი ვერ გამცა. მათი პასუხი კითხვაზე: რატომ არ მოსწონთ ეს კანონი, არის — იმიტომ! ეს პასუხი არ არის.

**— სტუდენტები გაიფიცნენ და ლექციებზე აღარ შედიან...**

— ვის უცხადებენ გაფიცვას, საკუთარ თავს, განათლებას?! სწავლის გაგრძელება აღარ უნდათ? რას ნიშნავს გაფიცვა მოტივით, თუ კანონს არ გაიწვევთ, ლექციებს არ დავესწრებითო. თუ არ ისწავლიან, ამით გამჭვირვალობის კანონს რა დააკლდება?! ჩემთვის გაუგებარია, სტუდენტმა გაფიცვა იმის გამო გამოაცხადოს, რომ პარლამენტი კანონს იღებს. ლოგიკას ვერ ვხედავ. საუნივერსიტეტო მუშაობის 50-წლიანი სტაჟი მაქვს. პირველად, როგორც ლექტორი, აუდიტორიაში 50 წლის წინ შევედი. საააუდიტორიო ცხოვრების ნახევარი საუკუნე გავიარე და კარგად ვიცი, რას ნიშნავს ლექცია, სტუდენტი, აუდიტორია... ვინც ლექციაზე არ ივლის, ის საგანს ვერ ისწავლის. დამიჯერეთ, ხალხო, ერთი დღეში გამოცდისთვის ნასწავლი ცოდნა მეორე დღეს ქრება. ასე რომ, ეს სტუდენტები საკუთარი თავის განათლების, ცოდნის ხარისხის გაუმჯობესების წინააღმდეგ იბრძვიან. სტუდენტიც ჩვეულებრივი მოქალაქე, ამომრჩეველია, რომელსაც უფლება აქვს, ნებისმიერ პარტიასთან იყოს, მაგრამ სასწავლო და პოლიტიკური პროცესი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება. ლექციაზე არ შევალ, რითაც მიმდინარე პროცესს მხარს დავუჭერო — ასეთი ცხოვრების ლოგიკას ვერ ვხედავ.

**— პროფესორთა ატესტაციის წესის შესახებ კანონპროექტი მალე პარლამენტში განსახილველად შევა...**

— კანონპროექტის ავტორებს ვეთანხმები, პროფესორ-მასწავლებელთა დონე, მაპატიონ ლექტორებმა, მაგრამ ნამდვილად გადასამოწმებელია. თუმცა, ატესტაცია იქნება, კონკურსი თუ სხვა, კარგად ორგანიზებულად, კანონის ფარგლებში, პროფესიონალურ და არა პოლიტიკურ დონეზე უნდა ჩატარდეს. 2005-2006 წლებში განათლების სისტემაში არჩევნები, კონკურსები ჩატარდა, რაც პოლიტიკურ დატვირთვას ატარებდა. დიახ, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოვიდა ხელისუფლება, რომელმაც პროფესორ-მასწავლებლების შერჩევა პოლიტიკური ნიშნით და არა პროფესიული დონის მიხედვით დაიწყო. მაშინ ძალიან ბევრი პრო-

11 გვ.

მოგეხსენებათ, ერთი ყარიბი კაცი ვარ.

ახლა ეს მავნებლობა წამოიწყეს, — მავანთა საცხოვრებელ ადგილებს კოჭლი მელიებივით მიპარვით „ლაშქარავენ“. ვინატრე, ნეტავ, მოვიდნენ და ჩემს კარზეც წააწერონ რომ მონა ვარ, ან, 85-ე ტყვიადასახლელი. არ წავშლიდი, წინ დავურთავდი „საქართველოს“ და ეგ არის! არ მოვიდნენ... ყველაფერზე მე როგორ უნდა დამწყდეს გული...

წლების წინათ, „კმარა“ რომ იყო „მოდაში“, ჩემს უბნელს მიუწერეს „აქ ცხოვრობს ქურდი“. ე. წ. პრესტიჟულ უბანში ვცხოვრობ და „კარენოი“ ამუბნელი ვარ, მაგრამ იქ ვინ ცხოვრობდა, არ ვიცოდი, ამიტომ ჩემზე ათი წლით უფროს ბიძაშვილს ვკითხე, მეთქი, გივი, იქ ვინ ცხოვრობს? რა ვიცი, ზურა, მანდ მანქანა არ ეტევა და ფეხით მე არ დავდივარ, ხომ იციო. მომკლა ინტერესმა და ცხონებულ ქეთინოს მივადექი, მრავალგანშტოებიანი ვიცი დაღლა, მე ქართველი ვარ და ამიტომაც არ დავიღლები!“

კარდაკარ რომ დადიან „დიდი გურუები“, ევროპატები, ერთ დღეს შემოვიპატიჟე, ისთები ვებაასე, რიგრიგობით ვიწეოდით ბალიშიდან ჰაერში.

„ძველებს“ გემახსოვრებათ თქვენსავით ძველი იტალიური ფილმი „არ ააცდინო, ასუნტა!“ რა ვიცი, მგონი ცხოვრებამ დამისახა მიზნად, — ვთქვა და არ ავაცდინო!

სულხან-საბა დიპლომატი იყო, მე ერთი ვიღაც ზურა ვარ, ჰოდა, „ენით დაკოდილი დათვისა“ რა მცოდნია, როცა სამშობლოს სადარაჯოზე ვარ?!

**მთას ირემსაც მოვწველი; გველსაც ხვრელით ამოვიყვან; მოქიშპე ირემს ბალახსაც მივაწვდი და თავზე ნაცარსაც წავიყრი, თუ ეს ჩემს საქართველოს, ჩემს სამშობლოს დასჭირდება. სწორება საქართველოზე! — სხვა დევიზი მე არ მაქვს...**

# შუათითაშვერილმა მომიტინგემ „საქართველოს“ დაძახება ვერ უნდა გაბედოს!!!

იყო საწყალი და ვიფიქრე, ცხრა ბავშვიდან ერთს მაინც ეცოდინება-მეთქი. ქეთინომ თავად მომახსენა, წლებია, იმ სახლში არავინ ცხოვრობსო. ავუხსენი საქმის ვითარება და გადაბჟირდა, „ესენი მასე დარბიან. ბიუჯეტის ქურდი თუ უნდათ, აგერ მყავს პირდაპირ და „ისე“ ქურდი თუ უნდათ, ერთად მივასწავლოთო“.

ზოგადად, ნებისმიერი ბრალდება დამთრგუნველია, მაგრამ აბა, გაიაზრეთ, რა კარგი ბრალდებაა „საქართველოს მონა!“ — ეს ბრალდება აქვს წაყენებული, მაგრამ ბრალდებლებლებს, როგორც წესი, ყოველთვის ეშინიათ სიტყვა „სამშობლოს“ ხსენება.

„ქვეყანა“, — სიტყვით ასე მარტივად რომ მიქციეს და მხოლოდ ადგილმდებარეობად ცდილობენ მის დატოვებას, საქართველოა, საქართველო კი ჩემი სამშობლოა. „სამშობლო ხევსურისა“ სამშობლოა ყველა იმ ქართველისაა, ვინც ქართველია შიგნიდან...

„მე ქართველი ვარ და მაშასადამე, მე ვარ ევროპელი“ კი არა, „მე ქართველი ვარ და ამიტომ არ და რას ვხედავ! — რუსთაველის პროსპექტზე ზეაღმართული შუათითით „საქართველოო“, გაჰყვირიან.

კარგად დავაკვირდი, ხომ არ მეჩვენება-მეთქი, მაგრამ რანაირად მომეჩვენებოდა ეშმაკის სამკაპა?!

ბარემ ორი თითიც მიაყოლეს, ძალიან ამერიკული პროტესტი რომ ყოფილიყო. ცნობისმოყვარე ვარ, ჩრდილით დავინტერესდი, იქნებ, ეზოთერულად რამე არის-მეთქი და... — სინჯეთ, ძმაო და დაიხსომეთ, რას გიჩვენებთ ჩრდილი. ორი თითი ასწიეთ „თავისუფლების“ ნიშნად ამერიკული წამხედურობით და ფურცელზე მოხაზეთ, ნახეთ, რას მიიღებთ — მე ხომ არ გეჯდებით დილა-საღამოს სახლში?

ბავშვი ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს ამბავი, როდესაც სუხიშვილების ანსამბლის რომელიღაც ცეკვა ნახა იაპონელმა სტუმარმა და პროტესტი გამოთქვა, ამის ჩვენება სახალხოდ როგორ შეიძლება, ეს იდუმალი რიტუალიაო.

საქართველო თვით არის ერთი დიდი კოსმიური იდუმალება!..

ძველი კოლხეთის იმპერია დაეცა და განადგურდა, მაგრამ მთამ შემოინახა ის ლიბო, რაც კვლავ აღადგენს მას...

დიდ ქურუმთა კოსმიურ წყევლას ვადა გასდის...

ექსპედიცია, რომელიც ეშერას ლაბორატორიიდან დაიწყო და ბატონ ჯუმბერ ლომინაძით დასრულდა, მხოლოდ მინიშნებაა მოაზროვნე ადამიანისთვის, მაგრამ მაგას ხომ ის ტვინი უნდა, რომელიც კოსმოსმა მოგცა გასახსნელად? ყველა „გასაოცრად“ გარდაიცვალა, ბატონმა ჯუმბერმა გვითხრა იმდენი, რამდენიც ნებადართული იყო და დავრჩით ასე — „ჯერ ადრეას დროში“.

„ოდეს საქართველოს გაუჭირდეს, ხომლმა გადაარჩინოს“, — უთქვამთ ჩვენ წინაპრებს.

ხომლის (ხვამლის) მთა რას მალავს საკუთარ წიაღში, არ ვიცი, მხოლოდ ვვარაუდობ, მაგრამ ხომლის მთიდან დანახული საქართველო რაღაცნაირია, აგატირებს...

ჩვენ, ჩვენი თაობა, გულანთებული ქართველები, რომლებსაც ერთი შემართება გვქონდა 90-იან წლებში, ისე მძლავრად ვგუგუნებდით „საქართველოს“, ჩვენი გულის ამოძახილი კავკასიონის მთებს ეხეთქებოდა და უკან ბრუნდებოდა და ორმაგად გვაზვირთებდა — ეს რა ვნახე, შუათითაშვერილი რაღაც უსქესო მასა სიაფანდზე ყვიროდა სიტყვა „საქართველოს“ და იქვე რჩებოდა ერთჯერადი ხელსაწმენდებივით — ალექსანდროვის ბაღის მდუმარე ბინადრების წარსულიც კი ვერ გააღვიძა...

ერთმა პოეტმა იკითხა: „სხვა საქართველო კი არა, თვით საქართველო სად არისო?“ ჩემო პოეტო, ის აქ არის და აქ იყო ყოველთვის, ახლა კი ტკბილად განისვენე, მოდის „ის“ საქართველო...

ქართველობა სასჯელია და, ამავდროულად, ნიჭი! ქართველი ან ხარ, ან — არ ხარ!

„ქართველო, ხელი ხმალს იკარ!“ — ეს სრულიად საქართველოს მოწოდება იყო და აბა, ხმამაღლა და გამოთქმით თქვი — თუ გენეტიკური ქართველი ხარ, გაგაჟრიალებს!

საქართველო ხელწამოსაკრავი კი არა, ისეთი მაგიური სიტყვაა, რომლის წინაშე მსოფლიო ცივილიზაციები არიან დაჩოქილები, საქართველო კი დგას იმ ციტადელად, რომელსაც სიმბოლურად მართლმადიდებლობა, რეალურად კი მართლის-მადიდებლობა ჰქვია!...

არის ბევრი რამ, რასაც შენით უნდა მიხვდე, იერარქი ამას არ გათქვამს!..

საქართველო ის ქვეყანაა, რომელიც მსოფლიოზე ბატონობის საიდუმლოს დასკვნით ნაწილს ფლობს, ქართველ ბერებს აქვთ ის საიდუმლო და ამიტომაც ებრძვიან მართლის მადიდებლობას, იმ უხილავი განძის ხელში ჩასაგდებად.

ეს ამბავი ვიღაცისთვის „ნიბელუნგების ხმალივით“ ლამაზი მითია, მაგრამ იგივენი როგორ ამიხსნიან ნეტავ, ტამპლიერების სტუმრობას (არა მხოლოდ) მე-12 საუკუნის საქართველოში? — თვით დავით აღმაშენებელს არ ჰქონდა წვდომა ასეთ იდუმალებაზე!.. არც „ნიბელუნგების ხმალია“ მითი, არც „არტურის ხმალი“, ეს მინიშნებებია წარსულიდან, რომ ტვინი გაანძრიო და მომავალი ეძიო...

კოლხი ქურუმების „უსტარი“ არავის საბურთაო არ არის, ის კოსმიური გზავნილია, რაც მხოლოდ ქართულ ენაზე იხსნება და გაიხსნება მაშინ, როდესაც თვით საქართველოს დასჭირდება და არა რომელიმე იერარქს...

ჩემი სამშობლო, საქართველო, უფლის დედაზეა მიბარებული. ამიტომ დავდევ ამ იწილობიწილოებს, რომ აზრზე მოვიყვანო, თორემ რა მრჯის, რომელი პირქვე დაცემული მორწმუნე მე ვარ?

ეგებ, ხმაც არ ამომეღო, მაგრამ შუათითაბზეკილი ზეაღმართული ხელით „საქართველოს“ რანაირად ყვირი, ვინც ხარ? ეგ შენი საქართველო იქ მთავრდება, სადაც მაგ თითს აიშვერ...

ეშმაკის სამკაპა!

საქართველოს სიყვარულში ვერავის შევეცილები, ყველას ჩვენ წილად გვიყვარს, მაგრამ ამ საქართველომ რანაირად შვა ეს გაუგებრობები?

საქართველო არასდროს იქნება სამი თითი!

საქართველო არასდროს იქნება სამი ფერადი თითი!

„ჩამოვუქროლებ ჩემს საქართველოს“ კი არა, „სანამ გმირმა სული დალია, თქვა: სამშობლო, უპირველეს ყოვლისა!“

„დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა, და საქართველოს მედგას უღელი!“— ამას რომ ვერ გაითავისებს, არც მიკვირს იმ უსქესო და უსამშობლო მავანთა ღრიტინი...

მჯერა, რომ ჩემი საქართველო აქ არის და ყოველთვის აქ იქნება...

აკი ვთქვი, ერთი ყარიბი კაცი ვარ-მეთქი! ჰოდა, ეშმაკის სამკაპას ერიდეთ, ისე წამოგაგებთ სამკაპზე, როცა მოიაზრებთ, სადა ხართ, გვიანი იქნება, იქიდან ვეღარ ჩამოხდებით...

**ზურა ოშხერელი**

# ჩინეთი ერთადერთი ზესახელმწიფოა, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტორი და მხარდამჭერი იქნება

6 გვ.

**— დასავლეთის მხრიდან კრიტიკა არ წყდება, როგორ გაგრძელდება მასთან ურთიერთობა?**

— დასავლური ქვეყნები უნდა გავმიჯნოთ იმ გაყიდული, ზნედაკარგული ჩინოვნიკებისგან, რომელთაც ხელთ სადავეები უპყრიათ. 6-9 ივნისს ევროკავშირში არჩევნებია. დარწმუნებული ვარ, „პერესტროიკის პიონერებს“ იქიდან მიაპანჩურებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, პრობლემები თავად ევროპას შეექმნება. კარგად ჩანს, ევროპის დედაქალაქის ქუჩებში რაც ხდება. იგივე ეხება აშშ-ს, რომელიც კატასტროფის პირასაა. „დემოკრატებისთვის“ ხელისუფლების დათმობა ხარაკირის ტოლფასია, რადგან უამრავი სიყალბე, უკანონობა აქვთ ჩადენილი. თუნდაც ავიღოთ ის, რაც ბოლო დღეებში ტრამპის სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით ხდება. ჩვენ მიერ მიღებულ გამჭვირვალობის კანონზე სამასამდე განცხადება გააკეთეს, ტრამპზე კი ამ ჩასვრილ პოლიტიკოსებს კრინტი არ დაუძრავთ. ჩვენ დაბალი ღობე ვგონივართ, მაგრამ ძალიან ცდებიან, სწორედ ამ ღობეზე მოიმტვრევენ ცხვირ-პირს და ხერხემალს გადაიმტვრევენ. ამერიკაში ნოემბერში არჩევნებია, რომლის შედეგმაც შეიძლება, სამოქალაქო დაპირისპირება გამოიწვიოს.

ზემოთ ევროკავშირის არჩევნები ვახსენე, რაც მემარჯვენე ძალების გამარჯვებით უნდა დასრულდეს. მემარცხენე ძალებმა, ფაქტობრივად, ევროპა ჩამოანგრიეს. წარმოგიდგენიათ, გერმანია — ევროკავშირის ფუნდამენტი, დღეს რეცესიაშია. ეს რის ხარჯზე ხდება? — ამერიკა ცდილობს გამდიდრდეს და ევროპას ასუსტებს. ამ უკანასკნელმა ეს უნდა გაითვალისწინოს, ჩვენთან ჭიდილს შეეშვას და თავის თავს მიხედოს. საფრანგეთის პარლამენტის ზედა პალატამ დილით „უცხოურ ჩარევასთან ბრძოლის შესახებ“ კანონი მიიღო, გაცილებით მკაცრი, ვიდრე ჩვენია, ხოლო საღამოს ქვედა პალატამ: თქვენი კანონი ევროპულ ფასეულობებს არ შეესაბამებაო. რით დასრულდა ასეთი ფარისევლობა ორი ათასი წლის წინ, ყველამ კარგად ვიცით. იგივეა ახლაც, ამდენ სიცრუეში თავად ჩაიხრჩობიან.

ჩვენ ორი ათასი წელია, ქრისტეს გულით ვატარებთ. შეიძლება ცუდი ქრისტიანები ვართ, მაგრამ უფლისთვის არ გვიღალატია, არც ის გვიღალატებს და ამ ქაჯების ანაბარა არ დაგვტოვებს, არც ქვეყნის შიგნით და არც გარეთ. ქვეყნის შიგნით არსებული ალქაჯები ისტორიიდან მოყოლებული, საქართველოს ყოველთვის ჰყავდა, რომლებიც ხან სპარსეთში გარბოდნენ, ხან რუსეთში, ხან ბიზანტიაში, ყაენთან და ა. შ. მათი სირბილი რითაც მთავრდებოდა, ხომ ვიცით. საქართველო მაინც ფეხზე დგას და იდგება, ისინი კი მუდამ ბატონების ყმები იქნებიან.

**— ბოლოს გვითხარით, ზურაბიშვილის „ქართულ ქარტიაზე“ თქვენი მოსაზრებები...**

— ეს შულავერის კომიტეტის დეკლარაციაა. ზურაბიშვილისგან ასეთი დოკუმენტის გამოქვეყნება გასაკვირი არ არის, ის ხომ მენშევიკების პირდაპირი შთამომავალია. მენშევიკები და ბოლშევიკები ერთი პარტია იყო, რომლებიც მერე ორად გაიყვნენ. ახლაც იგივე ხდება, ნაცები, „ლელოდ“, „გირჩად“, „დროად“, „ვაშაძე აღმაშენებლად“ „ახალ ნიკა გვარამიად“ დაიყვნენ. მენშევიკ-ბოლშევიკებსაც ერთი მსოფლმხედველობა ჰქონდათ და ასევეა კოლექტიური ნაცების შემთხვევაშიც. ზურაბიშვილმა თავისი წინაპრების სულიერი მემკვიდრეობა გაიხსენა და შულავერის დოკუმენტი გამოაცხო. ვურჩევ, ეგ ქარტია ერთ ადგილას დაკიდოს და ხშირად წაიკითხოს.

**თამარ შველიძე**

# „ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო!“

გამჭვირვალობის შესახებ ვითომ პრეზიდენტის, სამგლე (სალომე) ზურაბიშვილის მიერ ვეტოდადებული კანონის იურიდიული კომიტეტის სხდომაზე განხილვას რომ ვუცქერდი, ერთი ანდაზა გამახსენდა - „ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო!“

არავითარი განხილვა იქ არ ყოფილა. კანონის მოწინააღმდეგე ოპოზიციონერებს ამ კანონის მიმართ მხოლოდ ერთი „შენიშვნა“ ჰქონდათ - ეგ კანონი მავნეაო! რატომ არის მავნეო, - რომ ეკითხებოდნენ, პასუხი ასეთი იყო: ყველა ჩვენმა ევროპელმა პარტნიორმა დაიწუნა და იმიტომო.

რა ფინანსები და რა მიზნით შემოდის არასამთავრობო ორგანიზაციების, ე. წ. ენჯეოების ანგარიშებზე, არ უნდა იცოდეს ხელისუფლებამ, ჩვენ, პირველ ყოვლისა კი უშიშროების სამსახურმა? რატომ არის ბნელით მოცული უცხოური ვალუტის ნიაღვარი, რომელიც ჩვენი „დაუძინებელი მეგობარი“ სახელმწიფოდან მოედინება?

იმის გამოცნობას დიდი ჭკუა არ სჭირდება, რატომ მალევენ ამ ფულის მიმღებები უცხოეთიდან მომდინარე „დახმარებას“, ან რამ გააწიწმატა ასე ის უცხოელი „ქველმოქმედი“ ბიძიები, ძნელი გასაგებია, განა?

უხსოვარ დროს შეიქმნა ეს ანდაზა „ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო!“, საუკუნეთა განმავლობაში არც ქურდების ბუნება შეცვლილა და არც მათ მიმართ ხალხის დამოკიდებულება.

ქურდი ყაჩაღი და მოძალადე არ არის. ის კი არ ართმევს ადამიანს რაიმეს, არამედ იპარავს, ჩუმად სხვისგან შეუმჩნევლად. ამიტომ არის მისთვის სასურველი ბნელი ღამე, ან ადამიანის დაბნელებული გონება.

მხოლოდ სააკაშვილმა მოინდომა ქურდებისა და ყაჩაღების გათანაბრება და კანონი მიიღო ქურდული ტრადიციების წინააღმდეგ. ამიტომ მისი რეჟიმი არ ერიდებოდა „გონივრული ეჭვის“ საფუძველზე ადამიანების დაპატიმრებას, ადამიანი თუ დაიბრალებდა, ქურდი ვარო, ამისათვის ციხეში სვამდნენ, არადა, მთელმა ცივილიზებულმა კაცობრიობამ იცის სენტენცია: „თუ არ დაიჭირე, ქურდი არ არის!“ ანუ ფაქტზე თუ არ დაიჭირე, ქურდობის ფაქტზე თუ არ წაასწარიო!

ჰოდა, ეს გამჭვირვალობის კანონი უცხოეთიდან შემოსულ ფინანსებს გამჭვირვალეს გახდის, ანუ გაანათებს და მერე იმასაც მიადევნებს თვალს, „ვისაც ჯერ არს“, სად რა და რამდენი დაიხარჯება. ეს კი სასიკვდილო საფრთხეს შეუქმნის იმას, ვინც ამ „შემოსავალს“ მალავს, ანუ ვის? - ქურდებს.

გამოდის, რომ ისინი, ვინც ამ „ფინანსური ბნელეთის გამჭვირვალობის“, ანუ განათების პროცესს ეწინააღმდეგება, ქურდია! ვისაც ლოგიკური აზროვნების უნარი არ დაუკარგავს, სხვა დასკვნას ვერ გააკეთებს!

თუმცა არსებობს სხვა დასკვნის გაკეთების საფუძველიც, ვინც ზემოაღნიშნულ ლოგიკას ვერ ხედავს, ის უიმედო სულელია!

ახლა მე გავაკეთებ ასეთ დასკვნას და გამამტყუნეთ, თუ შეგიძლიათ: ის პარლამენტარები, რომლებიც ამ კანონს ეწინააღმდეგებიან, ან ქურდები არიან, ან - სულელები, ასეთები კი პარლამენტის თითქმის ნახევარს შეადგენენ!

ახლა თქვენ გააკეთეთ დასკვნა: ის პარლამენტია ქართველი ხალხის საკადრისი, სადაც თითქმის ნახევარი ან ქურდია ან სულელი? ჩემი ღრმა რწმენით, ასეთი პარლამენტი არა მარტო საკადრისი არ არის არცერთი ხალხისთვის, არამედ საკანონმდებლო ორგანოს სახელსაც კი არ იმსახურებს!

28 მაისს საქართველოს ე. წ. პარლამენტის სასესიო სხდომაზე ორი ეპიზოდი გამახსენდა (ყველა ქურდი ან სულელი პარლამენტარის სიბრიყვეს ვერ გავიხსენებ) 90-იანი წლების დასაწყისში ახლანდელი ე. წ. პარლამენტის წევრი, კარგი მწერლის შვილი, თვითონაც მწერლობის მოწადინე როსტომ ჩხეიძე თავგადაკლული მოითხოვდა გიორგი სააკაძის ძეგლების დანგრევას კასპსა და თბილისში, ჩემს მეგობარ სვიმონ გამსახურდიას, ცნობილ ისტორიკოსს, იმის გარდა, რომ ბრწყინვალე წერილები გამოაქვეყნა როსტომ ჩხეიძის მკრეხელური და უვიცობით გაჟღენთილი წერილების წინააღმდეგ, ფიზიკურადაც უნდოდა, გასწორებოდა ამ „მწერალს“, მე გადავათქმევინე: მაგას რომ ხელი დაარტყა, აუცილებლად გაწვიმდება და ამას გარდა, როსტომას გალახვას გმირობად არავინ ჩაგითვლის-მეთქი; 2) სააკაშვილის პარლამენტის წევრ დავით კირკიტაძეს პარლამენტის შესასვლელში ვახტზე მდგომმა პოლიციელმა საშვი მოსთხოვა, კირკიტაძემ კი, როგორ თუ საშვი მომთხოვე, საშვის გარეშე ვერ მცნობო და ხელი დაარტყა იმ პოლიციელს. პოლიციელმა თავი შეიკავა და ხელი არ შეუბრუნა. არადა, ვიცნობდი იმ ბიჭს, ჩხუბი ნამდვილად არ ეშლებოდა. ეს ამბავი საჯაროდ მოხდა და უხერხულობა შეიქმნა. ამიტომ, ეტყობა, კირკიტაძეს უთხრეს, ბოდიში მოუხადე იმ პოლიციელს და ჩვენს პარტიას სახე არ დაუზიანოო. კირკიტაძემ შეუსრულა შეფს თხოვნა თუ ბრძანება და ბოდიში მოუხადა იმ პოლიციელს, სააკაშვილმა დიდად დაუფასა ეს ბოდიში და განაცხადა, კირკიტაძემ ვაჟკაცურად მოუხადა ბოდიში პოლიციელს შეურაცხყოფისთვის და ამიტომ გმირიაო. ამასთან დაკავშირებით, ასეთი ფუნაგორია გამოვაქვეყნე:

„მე იმ ქვეყანას რა ვუთხრა,
სადაც სიკეთე ძვირია,
ერეკლე მოღალატეა,
კირკიტაძე კი გმირია!“

პარლამენტის ეს სხდომა გაიმართა იმ მიზნით, რომ განხილული და დაძლეული ყოფილიყო პრეზიდენტის სამგლე (უჰ, სალომე!) ზურაბიშვილის მიერ კანონპროექტზე დადებული ვეტო - ვფიქრობდი, ორიოდე სიტყვა მეთქვა ამ ვეტოზე, მაგრამ პრეზიდენტის ამ ვეტოურ მოსაზრებას რომ გავეცანი, აინშტაინის ერთი ცნობილი მოსაზრება გამახსენდა: „სამყაროს აქვს საზღვარი, ადამიანის სისულელე კი უსაზღვროა!“

ახლა კი უინსტონ ჩერჩილი უნდა შევაქო იმისათვის, რომ მან თქვა, დემოკრატია მმართველობის უსაზიზღრესი ფორმააო. საკუთარი თავიც მინდა, შევიქო, რადგან ამასწინათ გამოქვეყნებულ ჩემს ერთ პუბლიკაციას სათაურად სწორედ ჩერჩილის ზემოთმოყვანილი გამონათქვამი შევურჩიე.

დიდი კაცების მიერ გამოთქმული სიბრძნეები მარადიული ჭეშმარიტებაა.

**ზურაბ ცუცქირიძე**
ტელ: 555 56-75-37

# შეუძლებელია, მიტინგზე დგომით პროფესორმა სტუდენტს საგანი ასწავლოს

8 გვ.

ფესიონალი უნივერსიტეტს მიღმა აღმოჩნდა, ხოლო „ნაცმოძრაობის“ ბევრი მხარდამჭერი, ვინც თავის დროზე ქვებს კარგად ისროდა, აუდიტორიაში ლექტორად მოგვევლინა. სამწუხაროდ, ტრადიცია გრძელდება, ეს ხალხი ისევ იქ, უნივერსიტეტებში არიან ჩაბუდებულნი. ასე რომ, თუ პროფესიონალურ დონეზე, ობიექტური და სამართლიანი ატესტაცია ჩატარდება, ეს საქმეს მხოლოდ წაადგება.

მავანი პოლიტიკურ მიზეზებს იშველიებს და ასე სურს, უნივერსიტეტში თავი შეინარჩუნოს, პროფესიონალიზმი კი მოიკოჭლებს. უნივერსიტეტში ჩაბუდებული ნაცები გაიძახიან, თავისუფალი აზრი გვეზღუდებაო. ეს რას ნიშნავს? მცოდნე ქუჩაში გააგდეს და მისი ადგილი იმ უვიცებმა დაიკავეს, რომელთაც პოლიტიკური შეფასებებით თავი გამოიჩინეს. ეს ისევ პოლიტიკანობა, პროფესიულ ასპარეზზე პოლიტიკის მოშველიებაა. როცა მავანს უნივერსიტეტში პროფესიული არსებობისთვის პოლიტიკით ზურგის გამაგრება სჭირდება, მისი პროფესიონალიზმი უკვე მოიკოჭლებს.

**— ხელისუფლებამ 2023 წლის ბოლოს ზოგადი განათლების რეფორმის შესახებ მასშტაბური პრეზენტაცია მოაწყო. ითქვა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა ოცი წლის შემდეგ პირველად განახლდება, ახალი მიდგომები კი ტრადიციულ ფასეულობებზე დაყრდნობით შემუშავდება. რამდენად მნიშვნელოვანია სკოლებში ეროვნული თემატიკის დაბრუნება?**

— ცოტა ხნის წინათ, „რუსთაველის საზოგადოებაში“ განათლების რეფორმასთან დაკავშირებით, განათლების მინისტრის მოადგილე თამარ მახარაშვილი და გია მურღულია მოვიწვიეთ. ჩვენ შორის გულახდილი საუბარი გაიმართა. ბევრ შეკითხვას გაეცა პასუხი, მაგრამ რეფორმა ჯერ დამუშავების პროცესშია. ვთანხმდებით, რომ შესაცვლელი ბევრი რამ არის, თუნდაც სასწავლო პროგრამები, ისევ უნდა დაბრუნდეს ლექსები სამშობლოზე, რაც „ვარდების რევოლუციის“ ხელისუფლებამ სწავლებიდან ამოიღო. რით განვამტკიცებთ ეროვნულობას? — რა თქმა უნდა, იმ ეროვნული ლექსებით. რეფორმა საჭიროა, მაგრამ მხოლოდ ლაპარაკი არ შველის, საქმეც უნდა მოჰყვეს. ასევე, უნდა ამაღლდეს მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟიც. ჩემი ახალგაზრდობის დროიდან მახსოვს, რომ მასწავლებლის ავტორიტეტი საზოგადოებაში ძალიან მაღალი იყო, ფასობდა. ამ ფასის დამცირება მოხდა. ვიმეორებ, სწორად გადადგმულ პრაქტიკულ ნაბიჯებს ჯერ ვერ ვხედავ, თორემ თეორიულად ბევრი დაპირება მოვისმინე.

**— თქვენ, როგორც პროფესიონალი, რას ურჩევდით ხელისუფლებას, განათლების სამინისტროს?**

— ამას წინათ, „საქართველოს რესპუბლიკაში“ წერილი გამოვაქვეყნე სათაურით — „კანონი გვაქვს, მაგრამ არ გვაქვს“, სადაც პრემიერ-მინისტრს და პარლამენტის თავმჯდომარეს ვთხოვე, 2015 წელს მიღებული კანონი „სახელმწიფო ენის შესახებ“ აამოქმედონ. „ქართული ენის შესახებ“ კანონი ქართული ენის ფუნქციონირებას, შესწავლასა და სწავლებას ითვალისწინებს. სწავლების სფეროში ეს კანონი არ მუშაობს. ოცი წლის წინათ, ლომაია-სააკაშვილის ხელისუფლების რეფორმის შედეგად, ქართულ სწავლებაში ბევრი რამ წახდა, რაც დღემდე ვერ აღვადგინეთ. აი, ამას მივხედოთ — რაც წახდა, ის აღვადგინოთ, კარგი გადავარჩინოთ.

ერთ მაგალითს მოვიყვან: 1978 წლის 14 აპრილის შედეგი იყო ის, რომ ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების გადაწყვეტილება იქნა მიღებული — ყველა უმაღლესში, ყველა სპეციალობაზე ქართული ენის სწავლება შემოიღეს. 2005 წლამდე ქართული ენის საგნის სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში სავალდებულო იყო. სააკაშვილის ხელისუფლებამ კი ეს გადაწყვეტილება გააუქმა. დღემდე ვიბრძვით, მაგრამ ამის აღდგენა ვერ შევძელით. რატომ არ აღდგა ის, რაც უკანონოდ გააუქმეს? — ვერ გეტყვით. მოვისურვე, ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში იმ პირს დაველაპარაკებოდი, ვინც ამ საქმეს სათავეში უდგას. მან მითხრა, რომ გაუქმებული ქართული ენის სწავლების აღდგენა, უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება.

მივმართავ პრემიერს, განათლების მინისტრს, ქართული ენა რიგითი საგანი არ არის. ის სახელმწიფო ენაა, რომლის სწავლების ცოდნის დონე დაბალია და უნდა ამაღლდეს. ეს სახელმწიფოს უპირველესი მიზანი უნდა იყოს, მაგრამ ამის სურვილს ვერ ვხედავ. საქმე ის არის, რომ ვინც ამ საკითხს 2005-2006 წლებში კურირებდა და ეს საქმე წაახდინა, დღესაც ის უდგას სათავეში. ბუნებრივია, თავიანთ წახდენილ საქმეს არ გამოასწორებენ.

ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს, განათლების სამინისტროს სკოლებში გოგებაშვილის „დედა ენის“ სწავლების აღდგენის მიზნით, „გოგებაშვილის საზოგადოების“ სახელით მივწერე. სამინისტროდან უარყოფითი პასუხი მივიღე. შეიცვალა ხელისუფლება და მინისტრად გიორგი მარგველაშვილი დაინიშნა. მასაც მივმართე და იცით, იგივე პასუხი მივიღე, რომელიც 2005-2006 წლებში გამცეს და ხელსაც ის პიროვნება აწერდა, ვინც მაშინ უარი მითხრა. აი, ამაშია საქმე. ანუ ხელისუფლება შეიცვალა, მეგონა, მასთან ერთად მიდგომებიც შეიცვალა, მაგრამ სისტემის იმ რგოლში ისევ ის პირი დარჩა და იგივე პასუხით გამომისტუმრა. სამწუხაროდ, ნაცები ფარულად ისევ ბატონობენ სასწავლებლებში თუ სამინისტროებში. ნებისმიერი რეფორმა კონკრეტულ შედეგებზე უნდა იყოს გათვლილი.

**თამარ შველიძე**

## ვახტანგ ხარჩილავა:
### 2016 წლის მაისი

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე აღვნიშნეთ.

მართალია, დამოუკიდებლობის დღეს კი აღვნიშნავთ, მაგრამ სინამდვილეში ჩვენ დღესაც არ ვართ დამოუკიდებელი ქვეყანა, რადგან წინა ხელისუფლებებმა, ფაქტობრივად, ოკუპაციურმა რეჟიმებმა, საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნების, საკუთარ სამშობლოზე ძალადობის ნებართვის საფასურად, ნაწილ-ნაწილ გაყიდეს და გაასხვისეს ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

საქმე ის არის, რომ, 1991 წელს აღდგენილმა დამოუკიდებლობამ მხოლოდ 1992 წლის დეკემბრამდე გასტანა. დამოუკიდებლობის აღდგენიდან ერთი წლის თავზე ქართველთა ერთმა ნაწილმა ცეცხლით და მახვილით დაამხო საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობა. ქართული წარმოშობის ოკუპანტებმა საქართველო დაიპყრეს და 2003 წლის ნოემბრამდე ძარცვეს.

2003 წლის ნოემბრიდან ოკუპანტთა ძველ თაობას „ნაცმოძრაობის“ სახით ოკუპანტთა ახალი თაობა ჩაენაცვლა და ახლა იმან ძარცვა და ყვლიფა ქვეყანა 2012 წლის ოქტომბრამდე. ქვეყნის ძარცვა-ყვლეფას თან სდევდა გაუგონარი მასშტაბების რეპრესიები, მკვლელობები, უდანაშაულო ადამიანების მასობრივი დაპატიმრებები.

ქართველი ოკუპანტები, სახელად „ნაციონალები“, უცხო ტომის ოკუპანტებზე გაცილებით სასტიკნი იყვნენ.

იქნებ ვინმეს ეხამუშება და ყურს სჭრის ერ ორი სიტყვა – ქართველი ოკუპანტი.

თუ შევარდნაძის და მისი პირდაპირი მემკვიდრის, სააკაშვილის, მმართველობის წლებს გავიხსენებთ და გავაანალიზებთ, დავრწმუნდებით, რომ ორივე ეს ძალა იქცეოდა როგორც ოკუპანტი, როგორც დამპყრობელი, როგორც სადამსჯელო-საეგზეკუციო დესანტი და, აქედან გამომდინარე, მათთვის სახელწოდება „ქართველი ოკუპანტი“ ზედმიწევნით ზუსტად არის მორგებული.

**2012 წლის ოქტომბერში „ქართული ოცნების“ გამარჯვება ეს იყო ქართველი ოკუპანტების დამარცხება და საქართველოს დამოუკიდებლობის და თავისუფლებისკენ გადადგმული პირველი რეალური ნაბიჯები, რომლებსაც დღემდე უამრავი დაბრკოლება და ბარიკადი ხვდება წინ.**

სამწუხაროდ, ჩვენ, ჯერჯერობით, ბოლომდე ვერ გავთავისუფლდით ქართველი ოკუპანტებისგან, რომლებიც გამალებულნი ემზადებიან რევანშისთვის და არჩევნებში კვლავ ძალაუფლების ხელში აღებას აპირებენ.

საქართველო დღეს დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესშია.

ეს ხანგრძლივი პროცესია და მისი ბოლომდე მიყვანა მხოლოდ თითოეული ქართველის თავდადებული ბრძოლის, შრომის, გონიერების, წინდახედულების შედეგად იქნება შესაძლებელი.

ეს არჩევნები განსაკუთრებული მნიშვნელობის არჩევნებია.

**ამ არჩევნებზე ქართველი ხალხი ქართველ ოკუპანტებს, „ნაცმოძრაობას“ და მის სატელიტ პარტიებს თუ დაუჭერს მხარს, ჩათვალეთ, რომ ეს იქნება ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის და თავისუფლების საბოლოო დასასრული.**

**დიახ, 2012 წლის ოქტომბერში ბიძინა ივანიშვილმა ქართველ ხალხთან ერთად და პირიქით, ქართველმა ხალხმა ბიძინა ივანიშვილთან ერთად მშვიდობიანად, სისხლისღვრის გარეშე დაასრულა საერთაშორისო მაფიასთან წილნაყარი ქართველი ოკუპანტების ოცწლიანი პარპაში საქართველოში და ქართული სახელმწიფოს რეალური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისკენ პირველი ნაბიჯები გადადგა.**

ის კონკრეტული საქმეები, რაც ამ წლებში გაკეთდა, სრულ უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეს ხელისუფლება ეროვნული ხელისუფლებაა, თუმცა არც ეს ხელისუფლება და არც ბიძინა ივანიშვილი ამის შესახებ არ ლაპარაკობს.

„საქმემან შენმან გამოგაჩინოსო“, – ნათქვამია.

იმ საქმეებით, რაც ერთ კაცს, ერთ ბიძინა ივანიშვილს აქვს საქართველოსთვის აქვს გაკეთებული და რომლებსაც ის გაკვრით, მხოლოდ რამდენიმე წინადადებით ახსენებს თავის წერილში, არ შეიძლება არ გააოცოს არა მარტო თავისი მასშტაბებით, არამედ პერსპექტივაზე გათვლილი მიზანდასახულობით და კონცეფციური მნიშვნელობით.

ის დღეს არა მხოლოდ აწმყოს, არამედ, პირველ ყოვლისა, საქართველოს მომავალს აშენებს.

ყოველივე ამის ფონზე როგორი სასაცილო და კომიკურია იმ ადამიანების, იმ ფსევდოპოლიტიკოსების ქაქანი და ყაყანი, რომლებსაც თავის ცხოვრებაში ქვა ქვაზე არ დაუდვიათ, მაგრამ ბედავენ და ბიძინა ივანიშვილს ედრებიან და ეტოლებიან – შენ განზე გადექი, ჩვენ მიგვიშვი საქმესთან და ნახავ, რა სასწაულებს დავატრიალებთო.

სწორედ ამათზეა ნათქვამი: ბუნჭყველი ბაგეში ბურჭალობს...

ქართულ პოლიტიკაში ბუნჭყველები მომრავლდნენ, ბუნჭყველები, რომლებიც ლომებად და ვეფხვებად ასაღებენ თავს.

პოლიტიკა საქართველოში ფულის კეთების ყველაზე იოლ, მარტივ საშუალებად იქცა.

მთავარია, სინდის-ნამუსი არ გაწუხებდეს და მეტყველების უნარი გქონდეს, ანუ ლაპარაკი შეგეძლოს და პირდაპირ ჰაერში შეგიძლია, დიდი ფული მოჭრა.

მნიშვნელობა არ აქვს, რას ილაპარაკებ, მთავარია, ილაპარაკო და ილაპარაკო და ფულიც წამოვა...

ორასამდე ჰაერში ფულის მჭრელი „ცეხი“, ანუ პოლიტიკური პარტიაა საქართველოში და ყველა რაღაც პრივილეგიას და ყურადღებას ითხოვს.

– ჩვენ რატომ არ გვახსენა თავის წერილში, მხოლოდ „ნაციონალები“ რომ ახსენაო, – ცხარობდა ამას წინათ ერთი ქალბატონი, რომლის პარტიაც ერთი კვირის წინათ დაფუძნდა.

ერთი კვირის წინათ დაარსებულ პარტიაზე რა უნდა ილაპარაკო, ჯერ რა გაგიკეთებიათ, ლაპარაკის გარდა?

ესეც არ იყოს, „ნაცმოძრაობა“ ხომ ახსენა ივანიშვილმა?

ჰოდა, თქვენც და სხვებიც იმ „ნაცმოძრაობაში“ გიგულისხმათ, რადგან „ნაცმოძრაობიდან“ ხართ წარმოშობით...

# წინ ცხელი პოლიტიკური ოქტომბერი გველის

***გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „პოლიტიკისა და სამართლის ობსერვერის“ დამფუძნებელი გრიგოლ გაგნიძე:***

**— ბატონო გრიგოლ, ნჯო-ები გამჭვირვალობის კანონს საკონსტიტუციო სასამართლოში ასაჩივრებენ...**

— დიახ, ნჯო-ებმა გადაწყვიტეს, გამჭვირვალობის კანონის წინააღმდეგ სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანონ. მოპასუხე საქართველოს პარლამენტი იქნება. ისინი კანონში არა რაიმეს ჩასწორებას, არამედ მის სრულად გაუქმებას მოითხოვენ. სარჩელის შეტანიდან, საკონსტიტუციო სასამართლომ საქმე, დაახლოებით, რვა თვეში უნდა განიხილოს. გამორიცხული არ არის, არასამთავრობო ორგანიზაციებმა საერთაშორისო ზეწოლის ბერკეტები გამოიყენონ, რათა განხილვა დიდხანს არ გაგრძელდეს. ნჯო-ები საქმეს მტკიცებულებების სახით, ეუთო-ოდირის, ევროკავშირისა და ევროსაბჭოს დოკუმენტებს დაურთავენ. სასამართლო საერთაშორისო ზეწოლას თუ გაუძლებს, მათ სარჩელს არ დააკმაყოფილებს.

**— გაჟღერდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები სარჩელის სტრასბურგში გასაჩივრებასაც გეგმავენ. რა შანსები აქვთ?**

— მინდა აღვნიშნო, რომ სტრასბურგის სასამართლო მათ სარჩელს არ მიიღებს, რადგან საკონსტიტუციო სასამართლო საერთო სასამართლოების რიცხვში არ შედის და მსგავსი რამ კანონით დაუშვებელია. საკონსტიტუციო სასამართლოს ცალკე, დამოუკიდებელი კანონმდებლობა აქვს. ვიმეორებ, სტრასბურგში მიდის მხოლოდ საერთო სასამართლოების განაჩენი, თუნდაც ადმინისტრაციული გადაწყვეტილება. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ ნჯო-ების სარჩელზე უარყოფითი გადაწყვეტილება გამოიტანა, მათ ერთადერთი ბერკეტი რჩებათ — გაერო-ს ოფისს მიმართონ. გასათვალისწინებელია, რომ არჩევნები გვიახლოვდება და შესაძლოა, სასამართლოც გარკვეული მანიპულაციების, ზეწოლის ქვეშ მოექცეს.

ასე რომ, სტრასბურგში სარჩელის გაგზავნას არავითარი ეფექტი და რეაგირება არ ექნება. ხაზგასმით ვიმეორებ, კანონი არ ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სტრასბურგში გასაჩივრებას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, თუ სტრასბურგის სასამართლოს მიმართავ, მერე გაერო-ში გასაჩივრების უფლება აღარ გაქვს და პირიქით. ვფიქრობ, ნჯო-ები უფრო გაერო-დან შეეცდებიან ხელისუფლებაზე ზეწოლის მოხდენას. ისინი კავკასიის რეგიონში არსებულ გაერო-ს ოფისს მიმართავენ. თუ ისე მოხდა, რომ მათ მოთხოვნაზე გაერო-მ დადებითი გადაწყვეტილება მიიღო, მერე არჩევნები რა შედეგითაც უნდა დამთავრდეს, ოპოზიცია დაიწყებს ყვირილს, არჩევნები გაყალბდაო. ხუთი თვეა არჩევნებამდე დარჩენილი და უკვე გაიძახიან, არჩევნების ჩატარებას აზრი არ აქვსო. მიმდინარე აქციები შესამზადებელი პროცესია, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ვითარება უფრო დაიძაბება. საკმაოდ ცხელი პოლიტიკური ოქტომბერი გველის, რა დროსაც დაპირისპირებები პიკს მიაღწევს.

ოპოზიცია კოალიციური მმართველობის ჩამოყალიბებისთვის იბრძვის. სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის პერიოდმა გვიჩვენა, რომ კოალიციური მთავრობა არასტაბილურია, შიდა რყევებს იწვევს, რამაც შეიძლება სახელმწიფო სტრუქტურები ჩამოშალოს. ოპოზიციასაც სწორედ ეს სურს — ხელისუფლებაში თვითონ მოვიდეს. ჩემი აზრით, 2024 წელს კოალიციური ხელისუფლება რომ მოვიდეს, არ გამოვრიცხავ, რომ 2026-ში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს, რადგან კოლიციური ხელისუფლება მყარი ვერ იქნება. არ დაგვავიწყდეს, რომ 2025 წელიც საარჩევნო წელია. ასე რომ, როგორც მოგახსენეთ, ტემპერატურა თანდათან აიწევს.

**— თქვენახსენეთ, საქმის განხილვა რვა თვის განმავლობაში გაგრძელდებაო. ამ პერიოდში კანონის მოქმედება შეჩერდება?**

— რა თქმა უნდა, არასამთავრობო ორგანიზაციები მაშინვე კანონის შეჩერებას მოითხოვენ, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლო ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებს. ადმინისტრაციული წარმოების დროს, შესაძლოა, სასამართლომ გარკვეული აქტი შეაჩეროს, მაგრამ გამჭვირვალობის კანონი მნიშვნელოვანი დოკუმენტია და მეეჭვება, საკონსტიტუციო სასამართლო პარლამენტის წინააღმდეგ წავიდეს.

**— როგორც აღნიშნეთ, არასამთავრობო ორგანიზაციები მტკიცებულებად ევროკავშირის, ევროსაბჭოს, ამერიკის სახელმწიფო ადმინისტრაციის განცხადებებს მოიშველიებენ. ვთქვათ, ბლინკენის მოწოდება, არ მიიღოთ რუსული კანონიო, მტკიცებულებად რამდენად გამოდგება?**

— ზოგადად, სარჩელზე მტკიცებულებების სახით ექსპერტიზის დასკვნებს წარადგენენ, რათა სასურველ შედეგს მიაღწიონ. შესაძლოა, ამ არასამთავრობო ორგანიზაციებმა ფოტიგას, კრამონის, კუბილიუსის და სხვათა განცხადებები საქმეს მტკიცებულების სახით დაურთონ, მაგრამ ეს ექსპერტიზის დასკვნაზე ეფექტური ვერანაირად იქნება. ოპოზიცია ამბობს, რომ ეს კანონი კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. ანუ, იმ ევროატლანტიკურ მისწრაფებებს, რაც კონსტიტუციაში გვაქვს შეტანილი. ენჯეოები გამალებით ამტკიცებენ, რომ ეს კანონი ქვეყნის განვითარებას აფერხებს, თუმცა რეალობა აბსოლუტურად საპირისპიროა.

**— არასამთავრობო ორგანიზაციები ამ კანონს დაუმორჩილებლობას უცხადებენ და ამბობენ, რომ რეესტრში არ დარეგისტრირდებიან.**

— აქცენტი იმ ორგანიზაციებზე კეთდება, რომელთა შემოსავლის 20%-ზე მეტს უცხოური დონორები აფინანსებენ. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, მათ ჯარიმა დაეკისრებათ. ვფიქრობ, ამით თავად მოახდენენ საკუთარი თავის ლუსტრირებას. სახელმწიფო სიხისტის გამოჩენას თუ გადაწყვეტს, შეუძლია შემდეგნაირად მოიქცეს: დაუმორჩილებელი ორგანიზაციების სია გაასაჯაროოს. ნჯო-ებს დაჯარიმების შესახებ სასამართლოდან უწყება გაეგზავნებათ და როგორც კი მათ ანგარიშზე თანხა გაჩნდება, ავტომატურად ჩამოეჭრებათ, რაც შემდგომ ბიუჯეტს მოხმარდება. ასე რომ, თუ ჯარიმას არ გადაიხდიან, სახელმწიფოს აქვს ბერკეტი, მათ ანგარიშები დაუყადაღოს. ამ ორგანიზაციების სია გასაჯაროვდება. მთავრობამ ისედაც იცის, ვინ რა თანხით ფინანსდება და რისთვის მოიხმარს. მთავარი ის არის, რომ ამ ორგანიზაციების ლუსტრაცია საჯაროდ მოხდება.

**— ოპოზიცია საპარლამენტო არჩევნებში ერთიანი სიით აპირებს მონაწილეობას. ეს რას შეცვლის პროცენტულად?**

— სამწუხაროდ, ოპოზიციას საერთაშორისო თანამეგობრობა მხარს სრულად უჭერს. თუ გავიხსენებთ ევროპარლამენტში მიღე-

ბულ არაერთ რეზოლუციას, ამერიკის ადმინისტრაციის განცხადებებს, აშკარაა, რომ მათ უცხო ძალების მხარდაჭერა ახლაც ექნებათ და არჩევნების მერეც. „ქართულ ოცნებაზე“ დასავლეთიდან დიდი ზეწოლა იქნება. ხელისუფლებას ვურჩევ: ხალხთან ერთად იმუშაოს, მის ამომრჩეველს მეტი ყურადღება მიაქციოს, რათა რეალური მხარდაჭერა მიიღოს. ნაცების აქტივობა გამძაფრებულია. ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს, კონსერვატორული ფლანგის გულიც მოიგოს და ამომრჩევლის ხმების 60% რეალურად დაიწეროს.

**— ზურაბიშვილის „ქართულ ქარტიაზე“ რას ფიქრობთ, რამდენად აქვს მას სამართლებრივი ბერკეტი, მთავრობის ფორმირება მოახდინოს?**

— სალომე ზურაბიშვილი უფრო პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს, ვიდრე სამართლებრივს. მას იურდიული ბერკეტები გააჩნია მსჯავრდებულის შეწყალების და ვეტოს გამოყენების სახით. „ქართული ქარტია“ არ იკმარა და რეფერენდუმიც დააანონსა. ეს ასე მარტივი პროცედურა არ გახლავთ, ამას მთავრობის თანხმობა სჭირდება, თანაც 200 ათასი ხელმოწერაც უნდა შეგროვდეს. და რაც ყველაზე მთავარია, რეფერენდუმი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ტარდება და არა მის 80%-ზე! ახლახან ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში გამჭვირვალობის კანონს ისიც გაასაჩივრებს. ამით ცდილობს, მისთვის მინიჭებული უფლება ბოლომდე გამოიყენოს. ამ სარჩელს მხოლოდ პოლიტიკური დატვირთვა აქვს, სხვა არაფერი. პრეზიდენტის ადმინისტრაცია ამ პროცესში მეტი ეფექტურობის მისაღებად ერთვება, რომ საერთაშორისო არენიდანაც შემოსძახონ, აი, კანონს პრეზიდენტიც კი ასაჩივრებსო. მის მიერ დადებულმა ვეტომ ვერ მოიტანა შედეგი და ვერც ამ პროცესში მისი ჩართულობა იქნება „ნაყოფიერი“.

ზურაბიშვილი საკუთარი პიარის შენარჩუნებაზეა გადასული, ქვეყნის ინტერესებს არად დაგიდევთ. მის მიერ გაკეთებული განცხადებები სათავისოდ, გარე ძალების გასაგონად კეთდება. მას სურს, ოპოზიცია გარშემო შემოიკრიბოს და ლოკომოტივი, ფლაგმანი თავად იყოს. ქვეყნის შიგნით მისი რეიტინგი საკმაოდ დაბალია. თავიდანვე „ქართული ოცნების“ რეიტინგით მოგვევლინა ქვეყნის სათავეში. კი ბატონო, მას საერთაშორისო მხარდაჭერა აქვს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ქართველი მოსახლეობაც მხარს უჭერს. მთავარი კი სწორედ ქართველი ხალხია.

დღეს მსოფლიოში ლიბერალურ და კონსერვატიულ ძალებს შორის მძაფრი დაპირისპირებაა. იგივე ხდება საქართველოშიც. კი ბატონო, ნეოლიბერალური ფრთის წარმომადგენლებმა ქუჩაში ბევრი ადამიანი გამოიყვანეს, ძირითადი აქცენტი ახალგაზრდებზე გაკეთდა. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ 17 მაისს — ოჯახის სიწმინდის დღეს, გარეთ ბევრად მეტი ადამიანი გამოვიდა. ერი და ბერი გაერთიანდა. ეს უფრო ძლიერი ძალაა, ვიდრე გარე ძალები. ხელისუფლებას ეს ნიშა უჭირავს — ხალხისა და ეკლესიის გვერდით დგას.

საზოგადოების კონსერვატიულ ნაწილთან ჰარმონიით, ხელისუფლებას არჩევნებში გამარჯვების დიდი შანსი აქვს. ლიბერალები ეკლესიასთან დიდ დაპირისპირებაში არიან. ყველამ ვიცით, როგორი უცენზურო სიტყვებით მოიხსენიებენ პატრიარქს, ეკლესიას. ოპოზიცია ყოველგვარი დესტრუქციისთვის მზად არის. თანაც, საერთაშორისო არენიდან ხელისუფლებაზე ზეწოლის მოხდენის სრული კარტ-ბლანში აქვთ. ღმერთმა მშვიდობა მოგვცეს. მადლობა ღმერთს, ხელისუფლება მშვიდობის, სტაბილურობის შენარჩუნებას ახერხებს.

**თათია ჟორჟოლიანი**

# უჩას „პასაჟირები“

— ზურაჯან, მოჟნა? — ფეხაკრეფით შემოსრიალდა ერვანდა.

— რა იყო, ბიჭო, რა მელასავით შემოიპარე, ვინმეს ემალები? — გამეცინა.

— სლუში, ამასწინებზე „ჭრელ აბანოებში“ ვიყავ კაი დამა ქალთანა და მე რა ვიცი, იქნებ ის ჩუჩა იქ იყო კამერითა და მიღებდა პორნოსა? — ცოტა შეცბუნებული იყო ერვანდა.

— რა ჩუჩა, ვინ ჩუჩა, დაიცენტრე?

— მა რა ჰქვიან იმ ჩემისასა, ცოლ რო აქინძავებდა, ეგრე არ უთხრეს?

— უჩა, ბიჭო, უჩა! თანაც, ხომ გახსოვს იმ კაცმა რა თქვა, ისეთი სექსი უნდა გქონდეს, რომ გამოგიქვეყნონ, არ შეგრცხვესო, — ამიტყდა სიცილი.

— რათ უნა შემცხვეს, მაგრამ ხო იცი, მაინცა ტეხამს! — საჩვენებელი თითი აშკვირა ერვანდამ.

— მოდი, კაცო, შენი დარდი ვისა აქვს! ნახე, რა ხაშლამა ამოვყარო, — ვუთხარი და სამარილე დავდგი მაგიდაზე.

— ისე, ზურაჯან, რა პადხადიაჩი სახელი ჰქვიან, საცა პორნო, იქაც „ჩუჩა“, — საკუთარ მიგნებაზე გალაღდა ერვანდა და თავისი განუყრელი შავი პარკიდან „ახტამართან“ ერთად „სუჯუხი“ ამოაძვრინა.

— მაგარი გოთვერნობაა...

— მაგარი!.. მაგრამ, აი, ზურაჯან, ეგეც ხელობაა...

— რა არის ხელობა, შანტაჟი? — გაოცებულმა შევხედე.

— ვა, რა კატა მოგახტა, შენაცა? — ატეხა სიცილი ერვანდამ და ყოველი შემთხვევისთვის მოშორებით დადგა.

— მიდი, კაცო, დაჯე. ისეთი ამინდია, გინდა- არგინდა, ამინდის გამო გინდა. ისე გააბა ამ წვიმამ ერთი კვირა, ყლორტები გამომივიდა, — ჩავუკარი თვალი.

— ეგ სულ იმ ჩუჩას „პასაჟირების“ ცრემლებია, — თავის დაქნევით მითხრა ერვანდამ და ხაშლამის ნაჭერს ეჭვით შეხედა.

— რას უყურებ?

— კარქა დავხედო, რასა ვჭამ, — დაიწყო სიცილი და აღარ გაჩერდა.

— ჰა, ამოღერღე!

— ლუდვიგა ხო იცი, მაგის დვაირადნოი ბრატის ამბავი როა და მთელმა დუნიამ გაიგო, გაუბაზრდა, ის გამახსენდა, — ძლივს მოითავა სიცილი.

— აზრზე არა ვარ, — ალალად ვუთხარი.

— უთხრა?

— მითხარი.

— იტოგში, ლუდვიგას დვაირადნოი ბრატი ძმაკაცებთან ერთად წამლის ასაღებად წავიდენ მარნეულისკენ. ბარიგა თქვა, აქ იყავით, მე მალე მოვალ. ტიპებს პივა აქთ აღებული, თუ რამე, ვა, პივას სვამენ. ცარელა პივა რა პონტია, ნო, პა ბლიზასტი არაფელია და მურტლათ იყურებიან. გაიხედეს და ჩირი კიდია ბარიგის კარებზედა. მივიდენ, მოგლიჯეს ერთი, მიორე და ზაკუსკაა, რა — პაჩტი სუ ჭამეს. ბარიგა მოვიდა და ესენები უბერამენ. უცბად რო აკივლდა ისაააა, მინარეთიდამ ცოტა მოლა არ გადმოვარდა, ისე კიოდა, კრიჩიტ, ეს რა ქენით! ესენები ვაბშემც დაიცენტრენ, თავისი უჭირთ, „ლომკაში“ არიან. ბარიგა არიოტ, ეგ რათ გიჭამნიათ, თქვე ცუდებო? ესენები ეობნებიან, შენ ჩემისა, ხო არ გაგიფრენიან, რა იყო. აჰა, მანათი, მოკეტე, ჩირის ჟმოტი ხარ? ბარიგა უფრო გრომკა კივის: რა ჩირი, ჩემი წინაპრების გამხმარი უჩები იყო! — გადაბჟირდა ერვანდა.

— მოიცა, ჩუჩები ჭამეს? — გადმოვკარკლე თვალები.

— მა?!

ახლა მე ამიტყდა სიცილი და მე გავხდი მოსასულიერებელი, რადგან, ამბავთან ერთად, ერვანდამ აურია და ამჯერად ჩუჩაზე „უჩა“ თქვა. ამის ამბავი რომ ვიცი, რადგან ერთხელ ვერ დაიმახსოვრა, რაგინდ ავუხსნა, სიცოცხლის ბოლომდე აერევა ერთმანეთში — რა ქნას, პირველად გაიგო სახელი „უჩა“, თორემ „ჩუჩა“ რაც იყო, იცოდა.

— ხვლიკებო, აქ ხართ? — გაცისკროვნებული სახით შემოვიდა ნანული, ქოლგა დაბერტყა, კუთხეში მიდგა გაშლილი და არყის გრაფინი ცერემონიულად დაგვიდგა. უთქმელად მივხვდით, რომ გარგარის არაყი ნიშნად დიდი სიხარულისა შემოიტანა.

— როგორა ხარ, ცავატანემ? — ენა მოუჩლიქა ერვანდამ.

— იდეალურად! რას იღმურძლებით? — ღიმილით მიუგო ნანულიმ და მაგიდა მოათვალიერა.

— რამ გაგახარა, ნანული, ჩვენც გაგვახარე, — ხელით ვანიშნე, ქვაბი იქ არის, ცხელი ხაშლამა ამოიღე-მეთქი.

— რამ გამახარა და, მზე ამოდის! — ისეთი ნიშნისმოგებით თქვა და თან თავიც დააკანტურა, თითქოს მზისმოძულეები ვიყავით. მე და ერვანდამ ერთდროულად გავხედეთ კოკისპირულ წვიმას და მერე ერთმანეთს შევხედეთ.

— ბუებო! — გვიღიმოდა ნანული, დაიდგა ხაშლამიანი თეფში თავისთვის, თვითონვე ჩამოასხა ჩვენი „ახტამარი“, „სამართალი ურმით დადისო“, თქვა, ჭიქა ასწია, მაღლა აიხედა და გადაჰკრა.

— ე, ღმერთს უკეთამ დაკლადსა თუ რა პონტია, ან მზე სადა ნახე? — ჩემი სათქმელი თქვა ერვანდამ.

— ჭამეთ, ჭამეთ, ყელზე არ დაგადგეთ, — ზედმეტად გამომწვევად ლაპარაკობდა და მოძრაობდა ნანული.

— რა გჭირს, ნანული? — ვეღარ შევიკავე თავი.

— რა უნდა მჭირდეს, ზურა, რა ხდება, ვერ ხედავთ? ტელევიზორს არ უყურებთ? — სათნოდ გვიღიმოდა ნანული.

მე და ერვანდამ ისევ ერთმანეთს გადავხედეთ, თავი დავუქნიეთ და უხმოდ გადავკარით.

— ტელევიზორ უყურებ ინაგდა, ნო, ტურეცკი სირიალების მეტი არაფელი არალი, რა იყო, რო?

— რევოლუცია მოდის! — რა მომენტში დაისხა თავისთვის ნანულიმ, ვერ შევნიშნე, მაგრამ ისევ სათნო სახით გადაჰკრა.

— მაიცა! შენ რატომ შენი გარგალი არაყს არ სვავ და „ახტამარ“ გვილევ, შენსავით მოწამლული მოგვიტანე? — თავისი კონიაკის ამბით უფრო დაინტერესდა ერვანდა.

— ვაიმე, ეხლა მოგწამლავთ? თქვენს სახეებზე უნდა ვინეტარო. როგორ იყო, მასხრად რომ მიგდებდით, „შენი სექტაო“? სულ თითისწვერებზე უნდა გატაროთ, — ხარობდა ნანული.

— ნანულაჯან, ცავატანემ, შენ როდის ჩამოხველ გოროდში, გუშინა, არა?

— დიახ, ბატონო!

— მთვარიდანა?

— მთვარიდან არა, იუპიტერიდან. რას დაეძებ, როდის ჩამოვედი, ბალვანო? — მიესიყვარულა ნანული.

— გითხრამ. მაშდამე, გიხარიან, რო რევოლუციას ვაკეთამთო? კამაც-კამაც გააკეთეთ, არ დაგეწოთ!

— არ დაგვეწვება! — გაუღიმა ნანულიმ.

— უჟე დაგეწოთ და შენ აზრზე არა ხარ. ახალს რა გიქვიათ მაგ რევოლუციასა „უჩას პასაჟირების რევოლუცია“ თუ „ჩაჯვი ნიკოლოზისა“? — ჩაეძია ერვანდა.

— ზურა, ეს რას ბოდავს? — მე მომიტრიალდა ნანული.

— არ ბოდავს, სერიოზულად გეუბნება, — არხეინად მივუგე.

— რას მეუბნება სერიოზულად, რა ნიკოლოზი და ვინ უჩა? ბერი ნიკოლოზი რომ არის? უჩა ვინღაა? — მთლად დაიბნა ნანული.

— უთხარი, აგე, უთხარი და კარქა უსმინე შენა! — ჯერ მე მომმართა, შემდეგ ნანულის მიუბრუნდა ერვანდას თითისგაშვერით. ნანულიმ დამცინავად შემოგვხედა ორივეს.

— ჰოდა, ჩემო ნანული, მაგ შენს დასავლეთს თქვენი ნიკოლოზი სდომებია პრეზიდენტად...

— ვინ ნიკოლოზი, ზურა?! — გამაწყვეტინა დასაწყისიდანვე ისტერიულად.

— ვინ გყავთ ნიკოლოზი, მე მეკითხები? — დავიწყე შურისძიება და ნანულის წივილის მოსმენის მოლოდინში ერვანდაც ნებიერად გადაწვა სავარძელში.

— ეგ ერთი და, მეორე, ვინმე უჩა, თქვენიანი, დამდგარა და საკუთარ ცოლთან ერთად ათასამდე ფაილი ჩაუწერია, ვინ როგორც შმაშურობს. ახლა ის ყველა ნაშმაშურები გამოფენილა რუსთაველზე და „უჩას პასაჟირების რევოლუციას“ აანონსებს. ასე რომ, ჩემო ნანული, დიდად თავს ნუ გამოიდებ, რამე არ გვაფიქრებინო მე და ერვანდას, — დავუბოლოვე დამრიგებლური ტონით, სულაც არ გამღიმებია.

— ვერ გავიგე რაღაც...

— რა ვერ გაიგე, ცოლ ამუშავებდა, მა ოჯახ ზარალ ხო არ უქნამდა? — წარბები აქაჩა ერვანდამ.

— რაო?!

— რაც გაიგევი! — კმაყოფილი ნაბავდა თვალებს ერვანდა, რადგან ორივემ კარგად ვიცოდით ნანულის პატიოსნების ამბავი.

— ზურა, ვიცი, რომ შენ არ მომატყუებ, მაგრამ რანაირად დავიჯერო ეგ გახრწნილობა? — ლამის ჩურჩულით მითხრა ნანულიმ.

— დაიჯერე, ცავატანემ, დაიჯერე! შენთვინ რო კარქი გვინდა, იმიტომაც გიობნებით, იმათან ნუ ამხანაგობო. კლიანუს, სად და როდის ჩაგაკარტოჩკებენ, ვერ გაიგემ, — წყნარად უთხრა ერვანდამ.

— გავგიჟდები, ნამდვილად გავგიჟდები და გამაკავეთ მერე! — ნელ-ნელა ტონს აუწია ნანულიმ.

— ცავატანემ, იმენა ჩვენთან ნუ გაგიჟდები, წადი და იმათან შეუბერე, გამკავებლის დედაც დნემ, — თვალი ჩამიკრა ერვანდამ.

— ზურა, ესე იგი, ეს ამდენი ადამიანი, ნაცპოლიტიკოსებისა და ბაჭაჭყანების გარდა, ფაქტობრივად, შიშით არიან მისულები... და კიდევ, უცხოელები... საბჭოთა კგბ სხვანაირად კი არ „ავერბოვკებდა“, სასტუმროები და იქიდან მოპოვებული სკანდალური მასალები... ვაიმე, რა სირცხვილია... იმ ბუღაძეებსა და ელისაშვილებს რაღა ადგილი უკავიათ, ნეტავ, რა რანგში გადიან? — რატომღაც ძალიან ხმადაბლა ლაპარაკობდა ნანული.

— ბლინ, ბუღაძე რაღამ გაგახსენა, რომელი რასპუტინი ეგაა, — ახითხითდა ერვანდა.

— მოიწით აქეთ! მაგან თავის პირით რა თქვა, არ მოგისმენიათ? სადღაც კლუბში ტიპმა ყელში კოცნა ისე შემომაპარა, გავითიშე და შევცოდე თუ არა რამე, არ მახსოვსო, — უფრო ხმადაბლა, ჩურჩულით გვითხრა ნანულიმ.

— კაი? — შეიცხადა ერვანდამ.

— ქავთარაძე რომ არის, იმან კიდევ — სადღაც, ვიღაცის აგარაკზე ვიყავით, გავედი გვერდზე და ჩემი ძმა ვიღაც ტიპს „რაღაცაო“... კაცო, ამ ანა დოლიძის დას კიდე ცოლი ჰყავს, ვაშაძის ძმას — ქმარი. ღმერთო, ნუ გადამრევ! — ჩურჩულითვე შეიცხადა ნანულიმ.

— ცავატანემ, ხმამაღლა უთხარი, თორე გაიწელა ყურები, უჟე ბოლნო, — შეევედრა ერვანდა.

— ესენი ხმამაღლა როგორ ვთქვა, თორემ იმხელაზე ვიწივლებდი, თავზე დავიხვევდი მთელ უბანსა... მოიცათ, ახლა როგორ იქნება? — ჩვენღა მოგვებღაუჭა ნანული.

— ტო, ჩვენ რა ვიცით? — გაოცდა ერვანდა.

— ალბათ, ვინც იმ ფაილებშია, დაკითხვაზე დაიბარებენ, გაუთქმელობის ხელწერილით გამოუშვებენ, ადვოკატებსაც და, ზოგი დაზარალებული აღმოჩნდება, ზოგი — მეორე „უჩა“, ნუ, სუტენიორის ვარიანტში, — შეძლებისდაგვარად მოკლედ და გასაგებად ჩამოვუყალიბე ნანულის.

— ვაიმე, რა სირცხვილია, — ისევ ჩუმად თქვა ნაულიმ.

— სლუში, რატომ სულ „სირცხვილიას“ უთხრამ, შენ რისა გცხვენიან? — ჩაეძია ერვანდა.

— ამხელა ქალი რომ „უჩას პასაჟირების“ გვერდზე ვიდექი და მათ გამო წელებზე ფეხს ვიდგამდი, აი, მაგის მრცხვენია — ახლა ხომ გაიგე! — დასჭექა ნანულიმ.

— გავიგე, ხო, რა გაყვირებს, ცოტა სკამიდან არ გადმოვარდი, — გულზე ხელი მიიდო ერვანდამ.

— ჰოდა, ჩვენ გაგვიმარჯოს! უჩას კარგიც, იმის ცოლისაც და იმისი პასაჟირებისაც! — გვტყორცნა სადღეგრძელო ნანულიმ და მაღლა აღარ აუხედავს, ისე გადაკრა.

ზურა ოქხერელი

# რა უნდა ვიცოდეთ სტრასბურგის სასამართლოს პროცედურების შესახებ

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 1959 წელს დაფუძნდა. როგორც წესი, ის მილიონობით მოქალაქის უფლებების დაცვას ზედამხედველობს. საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია ევროპის საბჭოში შემავალ ქვეყნებზე ვრცელდება და იმდენივე მოსამართლე ჰყავს, რამდენი მხარეც არის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში (ამჟამად 46).**

**რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, ის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქციას 1999 წლიდან ცნობს. ამ ხნის განმავლობაში საქართველოდან სტრასბურგის სასამართლოში სულ სამი მოსამართლე იყო წარდგენილი: მინდია უგრეხელიძე (1999-2008 წწ.), ნონა წოწორია (2008-2017 წწ.) და ლადო ჭანტურია (2017 წლიდან დღემდე).**

**ევროპული სასამართლოს ამოცანაა, დაადგინოს, იცავენ თუ არა სახელმწიფოები კონვენციით გარანტირებულ უფლებებსა და თავისუფლებებს — ამისათვის როგორც კერძო ინდივიდების, ისე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების საჩივრებს განიხილავს. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას სავალდებულო ხასიათი აქვს და, შესაბამისად, ნებისმიერი ქვეყანა ვალდებულია, აღასრულოს ის.**

## როგორ მუშაობს ევროპული სასამართლო

სასამართლოს აქვს რეესტრი, რომელიც მას იურიდიულ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს. ის იურისტების, ადმინისტრაციული, ტექნიკური პერსონალისა და მთარგმნელებისგან შედგება. თანამშრომლების დაახლოებით ნახევარი უვადო კონტრაქტით მუშაობს. მათ შეუძლიათ, კარიერული წინსვლა თავად რეესტრში ან ევროპის საბჭოს სხვა სამსახურებში განაგრძონ. რეესტრის ყველა წევრს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მკაცრი მოთხოვნების დაცვა ევალება. მათი მთავარი ფუნქცია ინდივიდების მიერ წარდგენილი განაცხადების გაფორმება და მომზადებაა. რეესტრის იურისტები 31 საპროცესო განყოფილებად არიან დანაწილებული და თითოეულს საკუთარი ადმინისტრაციული დამხმარე გუნდი ჰყავს. იურისტები მოსამართლეებისთვის დოკუმენტებსა და ანალიტიკურ შენიშვნებს ამზადებენ. ასევე, მათი მოვალეობაა მხარეებთან პროცედურულ საკითხებზე მიმოწერა. ამა თუ იმ განყოფილებას კი საქმე შესაბამისი ენისა და საკანონმდებლო სისტემის ცოდნის მიხედვით გადაეცემა.

## ევროპული სასამართლოს მოსამართლეები

სტრასბურგის სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების რაოდენობას ემთხვევა. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა მოსამართლეებს თითოეული სახელმწიფოს მიერ წარდგენილი სამი კანდიდატიდან 9 წლის ვადით ირჩევს. სტრასბურგის სასამართლოს მოსამართლეები არცერთ სახელმწიფოს არ წარმოადგენენ, მათ შორის, არც წარმდგენ ქვეყანას.

კონვენციის თანახმად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეებს მაღალი ზნეობრივი თვისებები უნდა ჰქონდეთ, ფლობდნენ სამოსამართლო თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ კვალიფიკაციას და იყვნენ აღიარებული სამართალმცოდნეები.

თავიანთი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში, მოსამართლეები არ უნდა ეწეოდნენ ისეთ საქმიანობას, რომელიც შეუთავსებელია მათ დამოუკიდებლობასთან, მიუკერძოებლობასთან ან სრულგანაკვეთიანი სამსახურის მოთხოვნებთან.

## რა საქმეებზე შეგვიძლია მივმართოთ ევროპულ სასამართლოს

სტრასბურგის სასამართლოში საჩივრის შეტანა იმ შემთხვევაში შეგიძლია, თუკი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული რომელიმე უფლება დაირღვა. მაგალითად: სიცოცხლის უფლება; სისხლის სამართლისა და სამოქალაქო ხასიათის საქმეების სამართლიანი განხილვის უფლება; პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება; აზრის გამოხატვის თავისუფლება; აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება; სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება; საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება; არჩევნებში ხმის მიცემისა და საკუთარი კანდიდატურის წამოყენების უფლება და სხვ. კონვენცია, ასევე, კრძალავს: ადამიანის წამებასა და არაადამიანურ თუ დამამცირებელი მოპყრობას; თვითნებურ და უკანონო პატიმრობას; დისკრიმინაციას კონვენციით უზრუნველყოფილი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობისას; საკუთარი მოქალაქეების სახელმწიფოს ტერიტორიიდან გაძევებას, ან მათ ამ ტერიტორიაზე შესვლის დაბრკოლებას; სიკვდილით დასჯას; უცხოელების კოლექტიურ გაძევებას.

## ევროპული სასამართლოსთვის მიმართვის ფორმა

პირველ რიგში, უნდა დარწმუნდე, რომ შენს ქვეყანაში სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება ამოწურე, შიდა საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანიდან კი 4 თვეზე მეტი არ გასულა. საჩივრის ფორმას სასამართლოს ვებგვერდზე იპოვი: **www. echr.coe.int** შენს საჩივარში კი მითითებული უნდა იყოს: მხარის ან მხარეების სახელი, რომელთა წინააღმდეგაც ხდება საჩივრის წარდგენა; ფაქტებისა და სასარჩელო მოთხოვნების მოკლე შინაარსი; კონვენციით გათვალისწინებული იმ უფლებების ჩამონათვალი, რომლებიც, შენი აზრით, დაირღვა; სამართლებრივი დაცვის ის საშუალებები, რომლებიც გამოიყენე; შენს საქმეში გამოტანილი ყველა გადაწყვეტილების ასლი (ეს საბუთები უკან არ დაგიბრუნდება, ამიტომ გამოიყენე ასლები); შენი, როგორც მომჩივნის, ან შენი წარმომადგენლის ხელმოწერა.

საჩივრის შევსება შესაძლებელია ევროპის საბჭოს ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს ენაზე. შევსებული საჩივრის ფორმა შესაბამისი დანართებით იგზავნება მხოლოდ ფოსტით შემდეგ მისამართზე: **The Registrar European Court of Human Rights Council of Europe 67075 Strasbourg Cedex FRANCE.** თუ საჩივრის წარდგენის ფორმალური მოთხოვნები დაცულია, სტრასბურგის სასამართლო არეგისტრირებს საჩივარს და ანიჭებს საქმის ნომერსა და სახელს.

## საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმები

ნებისმიერი საჩივარი გარკვეულ წინაპირობებს, ანუ დასაშვებობის კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს. კერძოდ: საჩივარი სათანადო მომჩივნის მიერ უნდა იყოს წარდგენილი — პირი უნდა იყოს კონვენციის ერთი ან მეტი უფლების დარღვევის მსხვერპლი;

საჩივარი სათანადო მოპასუხის წინააღმდეგ უნდა იყოს წარდგენილი — მოპასუხე აუცილებლად უნდა იყოს ევროპის საბჭოს ერთი ან მეტი წევრი სახელმწიფო ან ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფო, რომელსაც რატიფიცირებული აქვს შესაბამისი დამატებითი ოქმი, რომლის დარღვევასაც დავობს მომჩივანი.

**საჩივარი უნდა ეხებოდეს მხოლოდ ევროპული კონვენციით ან მისი დამატებითი ოქმებით გათვალისწინებული ერთი ან მეტი უფლების დარღვევას; ამოწურული უნდა იყოს ყველა შიდა სამართლებრივი საშუალება — მომჩივანს გამოყენებული უნდა ჰქონდეს ყველა სამართლებრივი საშუალება, რითაც შესაძლებელი იქნებოდა საჩივარში მითითებული სიტუაციის გამოსწორება; საბოლოო შიდასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებიდან არ უნდა იყოს გასული 4 თვეზე მეტი დრო; საჩივარი არ უნდა იყოს ანონიმური.**

## სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებას ორივე მხარის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იღებს. კონვენციით ან/და სასამართლოს რეგლამენტით სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის კონკრეტული დრო დადგენილი არ არის. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენცია დაირღვა, მას შეუძლია, "სამართლიანი დაკმაყოფილების" სახით კომპენსაცია მოგანიჭოს. გარდა ამისა, სასამართლომ, ასევე, შეიძლება მოითხოვოს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები აგინაზღაუროთ. სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი აკონტროლებს.

## სტრასბურგის სასამართლო და საქართველო

საქართველოსთან დაკავშირებით პირველი გადაწყვეტილება სტრასბურგის სასამართლომ 2004 წელს მიიღო. საქმე "ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ" პრეცედენტული იყო თავად კონვენციის სისტემისთვის — ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირველად მოითხოვა უკანონო პატიმრობაში მყოფი პირის დაუყოვნებელი გათავისუფლება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში.

2012 წლის შემდეგ სტრასბურგის სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საქმეების სტატისტიკა მკვეთრად შემცირდა. როგორც ცნობილია, 2014 წლის პირველი იანვრიდან სტრასბურგის სასამართლოსთვის მიმართვის პროცედურა შეიცვალა. საჩივრის შეტანის ახალი ფორმა მეტ სიფრთხილესა და ცოდნას მოითხოვს, მოთხოვნების დაუცველობა კი საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სტრასბურგის სასამართლოს სისტემაში დამკვიდრდა მეგობრული მორიგებებისა და ცალმხრივი დეკლარაციების ახალი პრაქტიკა — ასეთ შემთხვევებში ევროპული სასამართლოს წინაშე მხარეებს შორის წარმოშობილი დავა სრულდება მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით და საჩივარი სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამოიღება.

**ლევან ჭილლაძე**

# გამარჯვების შემთხვევაში ტრამპი ჯონ კენედის მკვლელობის მასალებს გააასაჯაროებს

თამამად და ხმამაღლა შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრება ორმაგ სტანდარტებს იმდენად გასცდა, რომ არის „ხელის გადაწევის“ მცდელობები. უცნაური ფაქტია, რომ ე. წ. დიდი ქვეყნები მათსავით დიდი ქვეყნების დამორჩილებას ცდილობენ. ამიტომაც მიუახლოვდა სამყარო ახალი, ბირთვული ომის ზღვარს.

დღევანდელ მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებობს კიდევ ერთი გარემოება — შერჩევითი სამართალი და მიკერძოება. გარკვეული მოქმედება თუ ერთ სახელმწიფოს ეპატიება, იგივე დაუშვებელია სხვებისთვის. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ადგილი უკავია იმ გარემოებას, იზიარებს თუ არა ქვეყანა რომელიმე ძლიერი დომინანტი სახელმწიფოს მოსაზრებებს, იდეებს, იქცევა თუ არა მათ მიერ დაწესებული ნორმების შესაბამისად. რაც მთავარია, პატარა ქვეყანას თუ ჰყავს წონიანი მხარდამჭერები, იგივე ლობისტები დიდ და ძლიერ ქვეყნებში, მათ ხელისუფლებას არანაირი საფრთხე არ დაემუქრება. უპატიებელი „ცოდვაა“ ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლებისთვის საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესების წინ წამოწევა, რელიგიის, ტრადიციებისა და თვითმყოფადობის დაცვა.

მსოფლიოში არსებული ორმაგი სტანდარტების დადასტურებაა ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენები. ოქტომბერში „ჰამასის“ მიერ ჩადენილ მოქმედებას არანაირი გამართლება არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმას, მათ მძევლად აყვანას. სამწუხარო ფაქტია, რომ ისრაელის არმიამ სისასტიკით გადაასწრო „ჰამასის“ შეიარაღებულ დაჯგუფებას. ოფიციალური მონაცემებით, ღაზას სექტორში მშვიდობიან მოსახლეობას შორის მსხვერპლმა 37 ათასს გადააჭარბა. რეალურად, მსოფლიოს პოლიტოლოგები ისრაელის არმიის მოქმედებას ღაზას სექტორში პალესტინელი მოსახლეობის გენოციდად განიხილავენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ მხოლოდ კულუარულად.

ევროკავშირის წევრი ცალკეული ქვეყნების ლიდერები უკვე საუბრობენ ისრაელისთვის სანქციების დაწესების შესახებ. თუმცა, ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ზოგიერთი სახელმწიფოს მეთაურის მკვეთრი გამონათქვამი ისრაელის მიმართ, უბრალოდ, სატყუარა ყოფილა, რადგან ამით ევროპაში მცხოვრები მუსულმანი მოსახლეობის გულის მოგებას ცდილობენ წინასაარჩევნოდ. სწორედ მსგავს მიდგომას აფასებენ პოლიტოლოგები ორმაგ სტანდარტად.

საყურადღებოა თურქეთის პრეზიდენტის რეჯეფ ტაიფ ერდოღანის მიმართვა: „ეჰეი, ამერიკის ხელისუფლებავ! პალესტინელების სისხლი თქვენს ხელებზეცაა!“ საიდუმლო არავისთვის არის, რომ თურქეთი, კონკრეტულად ერდოღანის ხელისუფლება, თითქმის ათი წელია, საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. აქვე ნუ დაგვავიწყდება, რომ თურქეთი ნატო-ს წევრი ქვეყანაა, რომელსაც ალიანსში, ევროპის ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი შეიარაღებული ძალები ჰყავს.

ჰაგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მთავარი პროკურორის კარიმ ხანის მცდელობამ, მიიღოს ისრაელის პრემიერ-მინისტრის, თავდაცვის მინისტრისა და პოლიტიკური, ასევე, შეიარაღებული დაჯგუფება „ჰამასის“ ლიდერების დაპატიმრების ორდერები, მსოფლიოს პოლიტიკოსებში დიდი რეზონანსი გამოიწვია. ამერიკის შეერთებულ შტატებში ისრაელს რომ დიდი ლობი ჰყავს იქაური ხელისუფლების ყველა დონეზე, საყოველთაოდაა ცნობილი. ამიტომაც განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა, „ჰამასის“ და ისრაელის ერთ სიბრტყეში განხილვა დაუშვებელიაო.

ახლო აღმოსავლეთის ამ რეგიონში შექმნილი მწვავე ვითარებიდან გამომდინარე, ჯო ბაიდენი იძულებული შეიქნა, მხარეებისთვის სამშვიდობო გეგმა შეეთავაზებინა, რომელიც ითვალისწინებს, საომარი მოქმედებების შეწყვეტას, „ჰამასის“ მიერ მძევლების გათავისუფლებას და ღაზას სექტორიდან ისრაელის ჯარების გაყვანას. შორეულ პერსპექტივაში კი მხარეებმა უნდა იზრუნონ დანგრეული ქალაქების აღდგენაზე. „ჰამასმა“ შეთავაზებული წინადადება მოიწონა და პირობების შესრულებაზე დათანხმდა.

ისრაელი დუმილით შეხვდა აშშ-ის პრეზიდენტის სამშვიდობო ინიციატივას. მოგვიანებით კი პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ კვლავ გაიმეორა, რომ ისრაელი „ჰამასის“ სრულ განადგურებამდე იბრძოლებს. გასულ შაბათ-კვირას ისრაელის მხარემ კვლავ განახორციელა საჰაერო-საარტილერიო იერიში ანკლავის სამხრეთით მდებარე ქალაქ რაფაზზე, სადაც 2 მილიონამდე დევნილია, რომლებიც ისრაელის ხელისუფლების მითითებით ჩავიდნენ იქ ღაზას ჩრდილოეთით მდებარე ქალაქებიდან. შეტევის შედეგად დაიღუპა სულ მცირე, 60 მშვიდობიანი მოქალაქე, დაზარალდა 220-ზე მეტი. ასეთია ოფიციალური მონაცემები, ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ინფორმაციით, ღაზას სექტორი, ფაქტობრივად, სამედიცინო მომსახურების გარეშეა დარჩენილი, რადგან დაინგრა ანკლავში მოქმედი ბოლო საავადმყოფო.

გავრცელებული ინფორმაციით, ბენიამინ ნეთანიაჰუ სასწრაფოდ გამოიძახეს აშშ-ში, სადაც მას საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატის წარმომადგენლების წინაშე სიტყვით გამოსვლა მოუწევს, რათა მათ რეგიონში მშვიდობის დამყარებასთან დაკავშირებით საკუთარი ხედვა გააცნოს.

ისრაელის ხელისუფლება უკვე დიდი ხანია, არავის აზრს არ ითვალისწინებს, რითიც მოწინააღმდეგე ქვეყნების რიგებს ზრდის. გასულ კვირას ჩილეს პრეზიდენტმა გაბრიელ ბორიჩმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ისრაელის წინააღმდეგ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიერ გაერო-ს საერთაშორისო სასამართლოში შეტანილ სარჩელს შეუერთდება. საერთაშორისო სასამართლომ ახლახან კატეგორიულად მოუწოდა ისრაელს, შეწყვიტოს ღაზას სექტორში საბრძოლო მოქმედებები. საპასუხოდ, ნეთანიაჰუს ხელისუფლება აფართოვებს ცხელი წერტილების არეალს. კვირას ისრაელის არმიამ საჰაერო შეტევა განახორციელა სირიის ქალაქ ალეპოზე, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. ამიტომაც უკვე თვეებია, ისრაელის მოსახლეობა რეგულარულად ითხოვს საკუთარი ხელისუფლების გადადგომას.

განსაკუთრებული მოვლენა მოხდა გასულ კვირას აშშ-ის ისტორიაში — ნიუ-იორკის ნაფიც მსაჯულთა ჟიურიმ (კოლეგიამ) ქვეყნის 45-ე პრეზიდენტი დონალდ ტრამპი დამნაშავედ ცნო წაყენებული ბრალდებების 34-ვე პუნქტში! საბოლოო განაჩენს სასამართლო ტრამპს 11 ივნისს გამოუტანს. „...მე სრულიად უდანაშაულო ადამიანი ვარ, მაგრამ არა უშავს, კვლავ ვიბრძოლებ ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი კონსტიტუციისთვის“, — განაცხადა ტრამპმა. ჟიურის გადაწყვეტილებას სამარცხვინო უწოდა, ხოლო მოსამართლე, რომელსაც პროცესი მიჰყავდა, კორუმპირებულობაში დაადანაშაულა. კონგრესის სპიკერმა მაიკ ჯონსონმა მსაჯულთა ვერდიქტს „ამერიკის ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო დღე“ უწოდა.

რესპუბლიკური პარტიის განცხადებით, მათი კანდიდატი საპრეზიდენტო არჩევნებში სწორედ დონალდ ტრამპი იქნება. საინტერესოა, რომ, თუ ტრამპს სასამართლო პატიმრობას მიუსჯის, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში (აშშ-ის კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს განაჩენი არჩევნებში მონაწილეობაში ხელს არ შეუშლის), მას ქვეყნის მართვა საკნიდან მოუწევს. ტრამპი ვერდიქტის გასაჩივრებას აპირებს. ნაფიცი მსაჯულების გადაწყვეტილების გასაჯაროების შემდეგ, ტრამპის საარჩევნო ანგარიშზე მოსახლეობამ ერთ დღეში 53 მლნ დოლარი ჩარიცხა. აშშ-ის ისტორიაში მსგავსი რამ არ მომხდარა. განსაკუთრებით საინტერესო და საყურადღებოა ტრამპის მორიგი დაპირება, რომ გამარჯვების შემთხვევაში ის გაასაჯაროებს 35-ე პრეზიდენტის, ჯონ კენედის მკვლელობის მასალებს და 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის ფაქტებს. მართლაც, არ ყოფილა ისტორიაში ქვეყანა, რომელსაც სასჯელმისჯილი პრეზიდენტი მართავდა. რა არ ხდება და რას არ გაიგებ დღეს ადამიანი!

სკანდალური ინფორმაცია გავრცელა გასულ კვირას გამოცემა „პოლიტიკომ“ — აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა უკრაინას საიდუმლოდ დართო ნება მათ მიერ მიწოდებული იარაღის რუსეთის ტერიტორიაზე გამოყენებისთვის. ასეთ შემთხვევაში, აშშ, ფაქტობრივად, რუსეთ-უკრაინის ომში ერთვება. როგორც რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი იმუქრება, ყველა ქვეყანას, მათ შორის, აშშ-ს, სათანადოდ უპასუხებს. ინფორმაციამ აშშ-ში, განსაკუთრებით რესპუბლიკელებში, აღშფოთება გამოიწვია. კონგრესმენმა მარჯორი ტეილორ გრინმა სოცქსელებში დაწერა: „...ბაიდენს მხოლოდ დემენცია არ სჭირს, იგი შეშლილია! აშშ მშვიდობისკენ უნდა ისწრაფოდეს და არა ახალი, მესამე მსოფლიო ომისკენ!“ მიმომხილველების გარდა, პოლიტოლოგები ღიად საუბრობენ, რომ აშშ-ის მოსახლეობას ყელში ამოუვიდა დემოკრატების მმართველობა და ჩვეულებრივ ამომრჩეველთან ერთად, პარტიის წევრების დიდი ნაწილი არჩევნებზე მათ ხმას აღარ მისცემს.

საყოველთაო კრიტიკის გამო თეთრი სახლის კოორდინატორმა სტრატეგიულ საკითხებში ჯონ კირბიმ გააკეთა განმარტება, რომ ჯო ბაიდენს კარგად ესმის მოსალოდნელი შედეგები და უკრაინას იარაღის გამოყენების ნებართვა მხოლოდ ხარკოვის დაცვისთვის მისცა. მისივე განცხადებით, პრეზიდენტ ბაიდენს არ სურს, პასუხისმგებელი იყოს მესამე მსოფლიო ომის დაწყებაზე: „აშშ არ ესწრაფვის რუსეთთან ან რომელიმე ბირთვულ ქვეყანასთან შეიარაღებული კონფლიქტისკენ“. თუმცა, აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ლოიდ ოსტინმა სინგაპურში კონფერენციაზე ორაზროვანი განცხადება გააკეთა: „...ჩინეთთან ომი არც გარდაუვალია და არც შეუძლებელი. ამიტომ ველოდებით მათთან მოლაპარაკებების დაწყებას“.

**გია ბურდული**

# ფეხბურთი და ტანკები – „გოლი საკუთარ კარში“

პირველ ივნისს ლონდონში, „უემბლის“ სტადიონზე ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში გერმანიის რვაგზის ჩემპიონი, გერმანიის თასის ხუთგზის მფლობელი, 1996/97 წლების ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული, დორტმუნდის „ბორუსია“ 2:1 დაამარცხა მადრიდის „რეალმა“.

როგორც 29 მაისს გახდა ცნობილი, „ბორუსიის“ სპონსორი გერმანული იარაღის მწარმოებელი კონცერნი **Rheinmetall**-ი გახდა.

**ცნობის სახით: Rheinmetall**-ი 1889 წლის 13 აპრილს დაარსდა და გერმანიასა და ევროპაში ერთ-ერთი უმსხვილესი სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების მწარმოებელია.

მეოცე საუკუნეში კონცერნი ჰიტლერის უახლოესი თანამებრძოლის გერმან გერინგის საკუთრებაში იყო.

მეორე მსოფლიო ომის დროს **Rheinmetall-i Reichswerke Hermann Goring**-ის ნაწილი იყო, რომელიც ნაცისტური გერმანიის სამხედრო სამრეწველო კომპლექსისთვის მუშაობდა.

ამ იარაღის მწარმოებელი კონცერნის წლიური შემოსავალი 2023 წელს 12%-ით გაიზარდა და 7,1 მლრდ ევრო შეადგინა. 2024 წლისათვის კომპანია დაახლოებით 10 მლრდ ევროს ღირებულების შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის გაყიდვას ვარაუდობს.

ამჟამად კონცერნი შეიარაღებას, სამხედრო ტექნიკას და ტყვია-წამალს აწვდის უკრაინასა და ისრაელს, თავისი კაპიტალიზაცია და გაყიდვების რაოდენობა სწორედ უკრაინის თავდაცვის სამინისტროსთან დადებული კონტრაქტის ხარჯზე გაზარდა.

აქამდე პაციფისტურად განწყობილ გერმანიაში ასეთი რამ დაუშვებელი იყო — პოპულარული საფეხბურთო გუნდი იარაღის მწარმოებელ კომპანიას გაუწევს რეკლამირებას. თუმცა, ფეხბურთელების ფორმაზე კონცერნის ლოგოტიპის განთავსება კონტრაქტით გათვალისწინებული არ არის.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დორტმუნდში გერმანიაში ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთის სტადიონია, რომელიც 81 ათას მაყურებელს იტევს, ამასთან, „ბორუსია“ მომავალ სეზონზეც ჩემპიონთა ლიგაში განაგრძობს გამოსვლას, მას მრავალმილიონიანი საერთაშორისო ტელეაუდიტორია გარანტირებულად ეყოლება.

პარტნიორობა სამ წელზეა გათვლილი და მოიცავს სარეკლამო სივრცის ფართოდ გამოყენებას, მარკეტინგულ სამართალს, ასევე, სტადიონსა და კლუბის ტერიტორიაზე ღონისძიებების მოწყობას. საკონტრაქტო თანხის ოდენობა ოფიციალურად არ ხმიანდება, თუმცა, ვარაუდობენ, რომ ამ დონის გუნდისთვის ძალიან ცოტაა, დაახლოებით 10 მლნ ევრო.

როგორც საფეხბურთო ჟურნალი **“Kicher”**-ი წერს, ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. გუნდის ხელმძღვანელობამ კონტრაქტის გაფორმებამდე პოლიტიკოსებთან, ბიზნესმენებთან, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ფანატთა გაერთიანებებთან გაიარა კონსულტაციები.

როგორც გუნდის გენერალურმა დირექტორმა ჰანც-იოახიმ ვაცკემ განაცხადა, „უსაფრთხოება და თავდაცვა ჩვენი დემოკრატიის ქვაკუთხედია. ამიტომ სწორად მიგვაჩნია ამ ნაბიჯის გადადგმა, რადგან დღეს ვხედავთ, რომ ევროპის თავისუფლების დაცვაა აუცილებელი“.

„ეს კონტრაქტი ბუნდესლიგაშიც „ეპოქების ცვლას“ ნიშნავს“, - წერს გერმანიაში ყველაზე გაყიდვადი გაზეთი „ბილდი“.

2022 წლის თებერვალში უკრაინაში რუსეთის ფართომასშტაბიანი შეჭრის შემდეგ გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა რუსეთთან ურთიერთობისა და გერმანიის თავდაცვის პოლიტიკის მიმართ დამოკიდებულების შეცვლისა და ბუნდესვერის სასწრაფო მოდერნიზაციისთვის 100-მლრდევროიანი ფონდის შექმნის შესახებ განაცხადა.

ამ პროგრამაში – გერმანიის არმიის გადაიარაღების საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება სწორედ **Rheinmetall**-ს მოუწევს, რომელიც დამოუკიდებლად და პარტნიორებთან ერთად მრავალფეროვან ასორტიმენტს აწარმოებს – ტყვია-წამლიდან დაწყებული, ტანკ „ლეოპარდ-2“-ით დამთავრებული, ახლა კი ამერიკული მრავალფუნქციური გამანადგურებელ-ბომბდამშენის **F-35**-ის წარმოებას შეუერთდება, რომელსაც „უჩინარ თვითმფრინავსაც“ უწოდებენ.

უკრაინისთვის შეიარაღების ყველაზე მსხვილი მიმწოდებელი სწორედ **Rheimnetall**-ია. ის უკრაინის არმიის უზრუნველყოფის მიზნით გერმანიაში ტყვია-წამლის ქარხანას აშენებს, ასევე უკრაინაშიც აშენდება ანალოგიური საწარმო და შესაძლებელი გახდება ჯავშანტექნიკისა და ტყვია-წამლის ადგილზე დამზადება.

იარაღის მწარმოებელი კონცერნის შტაბ-ბინა დიუსელდორფში მდებარეობს, ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიის დედაქალაქში, რომელშიც დოტრმუნდთან ერთად მთელი სამრეწველო რურის ოლქიც შედის. ამიტომ სარეკლამო პარტნიორად „ბორუსიის“ არჩევა ლოგიკურია.

როგორც კონცერნის ხელმძღვანელმა არმინ პაპერგერმა განაცხადა, კონტრაქტის მიზანი მათი კომპანიის საერთაშორისო ცნობადობის გაზრდაა, რომელსაც ის თავდაცვის მრეწველობის ერთ-ერთ ლიდერად და სამოქალაქო ბაზრების ინდუსტრიული ინოვაციების მამოძრავებელ ძალად მიიჩნევს, რადგან **Rheinmetall**-ი მარტო შეიარაღებას და ჯავშანტექნიკას კი არ აწარმოებს, არამედ ავტომანქანების მრეწველობაშიც აქტიურად არის ჩართული, ახლა კი შენობების გათბობის ტუმბოების წარმოებასაც ითვისებს.

აღნიშნული კონტრაქტის სხვა მიზნად პაპერგერი მიიჩნევს კონცერნის სწრაფვას, კვალიფიცირებული კადრების დეფიციტის პირობებში, გერმანიის საზოგადოებაში გაიუმჯობესოს იმიჯი, როგორც დამსაქმებელმა.

გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში თავდაცვითი ქარხნების თანამშრომლები საზოგადოების მხრიდან ხშირად განკიცხვის ობიექტები ხდებოდნენ. უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ მათ მიმართ დამოკიდებულება აშკარად შეიცვალა, თუმცა თავდაცვით სექტორში მუშაობას რიგითი გერმანელები მაინც არ მიიჩნევენ ნორმალურად.

**Rheinmetall**-ისა და „ბორუსიის“ კონტრაქტს გულშემატკივრებს შორის აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა.

გერმანიის ეკონომიკის მინისტრმა რობერტ ხაბეკმა განაცხადა, „ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ სხვა, უფრო საშიშ სამყაროში ვცხოვრობთ და ამიტომ თავდაცვითი მრეწველობის მიმართ ადრინდელი დამოკიდებულება უნდა შევცვალოთ“. მანამდე კი, 2022 წლის თებერვლამდე, მწვანეები, რომელთა ერთ-ერთი ლიდერიც რობერტ ხაბეკია, დიუსელდორფსა და **Rheinmetall**-ს შორის სპონსორული კონტრაქტის გაუქმებას მოითხოვდნენ.

ამავე დროს, საინფორმაციო პორტალ **Der Westen**-ი, რომელიც ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიის სიახლეებს აშუქებს, გარიგებას „გოლი საკუთარ კარში“ უწოდა. ტელეარხ **N-tv**-ს საიტზე მოყვანილია პაციფისტური ორგანიზაციების გამონათქვამები, რომლებიც აცხადებენ, რომ შოკირებულები არიან და კონტრაქტის დაუყოვნებლივ გაუქმებას მოითხოვენ.

„ბორუსიასთან“ დაახლოებული დაჯგუფება **Unsere Kurve**-ს ლიდერმა განაცხადა, რომ „მორალური სტანდარტები საფეხბურთო ბიზნესში დაეცა, გარიგებამ კი ანტიჰუმანიზმისა და სიხარბის შკალაზე ახალი სტანდარტი დაამკვიდრა“.

გულშემატკივრებმა კომპანიის ნაცისტური წარსული გაიხსენეს და პარალელები გაავლეს შეიარაღებისა და ტექნიკის უკრაინისა და ისრაელში მიწოდებას შორის. „ბორუსიის“ გულშემატკივრები და ფანატები ფეხბურთის მოყვარულებს მოუწოდებენ, რომ „კლუბის ხელმძღვანელობას წითელი ბარათი უჩვენონ“ და საპროტესტო გამოსვლები არ შეწყვიტონ.

**ბელა გველესიანი**

**ჩვენი გუნდის ახალ წევრს, გამოცდილ, ნიჭიერ, შრომისმოყვარე ჟურნალისტს, კეთილშობილ, გულკეთილ, ერთგულ ადამიანს და ნამდვილ მეგობარს,**

**ნონა ქარქაშაძეს**

**ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს, ბევრ საინტერესო რესპონდენტს და წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში.**

**„საერთო გაზეთი“**

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99